საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 4 ივლისი, 2013 წელი.

№124 (7251)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი იწყება და ამას ოპოზიცია უძალიანდება

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია 2013 წლის 3 ივლისს

2

პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენცია ზოგიერთებისთვის?!.

მიკროფონი ხელში ვერაფრით ჩავიგდე

გუშინ „შერატონი მეტეხი პალასში“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებთან მისი ყოველი შეხვედრა საინტერესოდ და ცოცხლად მიმდინარეობს ხოლმე. სამწუხაროდ, ბატონ ბიძინასთვის კითხვის მიცემა ამჯერად ვერ მოვახერხე, რისთვისაც პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურს უნდა ვუსაყვედურო. და აი, რატომ:

წინა პრესკონფერენციაზე ბატონ პრემიერს ვკითხე, იცოდა თუ არა, რომ 2007 წლის აგვისტოში ნაციონალთა ხელისუფლებამ ათასობით რედაქცია და ორი ტელეკომპანია ძალადურად გამოყარა ათეულწლობით მკვიდრობის ადგილიდან — გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან, ხოლო ამ ცოტა ხნის წინათ გაყიდა (ამ ყაჩაღურმა აქციამ რედაქციებს უმწვავესი ეკონომიკური დარტყმა მიაყენა, რისგანაც ბევრი დღემდე ვერ გამომჯობინდა). ხომ არ შეიძლებოდა პატრონებისთვის უსამართლოდ წართმეული შენობის დაბრუნება ან დანაკლისის გარკვეული სახით კომპენსირება?

ბატონმა პრემიერმა მაშინ კითხვაზე მიპასუხა, საქმის კურსში არ ვარ, აუცილებლად გავერკვევიო.

იმ პრესკონფერენციიდან თვეზე მეტი გავიდა. ჰოდა, ბუნებრივია, მაინტერესებდა, ხომ არ ჰქონდა პრემიერს რაიმე სათქმელი ამ საკითხზე.

მაგრამ, როგორც ვთქვი, მიკროფონი ხელში ვერაფრით ვერ ჩავიგდე.

სამწუხაროა, ფრიად!

იქნებ ამ რეპლიკით მაინც მივაწვდინო ხმა ბატონ ბიძინას!

ალეკო ასლანიშვილი

სააკაშვილი ქართველ ემიგრანტებს ხმის უფლებას ართმევს

3

6

ბიზნესზე ზემოქმედების ნაციონალური მეთოდები არ დასრულებულა

„მაგთიკომი“ ქართულ საქმეს აკეთებს

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი იწყება და ამას ოპოზიცია უძალიანდება

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია 2013 წლის 3 ივლისს

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, ჩვენი გუნდის წევრების კრიტიკული მოსაზრებები არაკორექტული იყო, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პრემიერის შეფასებით, საბჭოს არჩევნები თავისუფალი იყო.

„ბევრს შეიძლება არ მოსწონს მოსამართლეების არჩევანი, მაგრამ ეს არჩევნები იყო და ამის იქით მათი კრიტიკის უფლება არ გვაქვს. როგორც მოახერხეს, ისე აირჩიეს. დამოკიდებულება ასეთი უნდა იყოს — როტაცია მოხდება და ახალი სისხლი ჩაენაცვლება“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, სასამართლო დღეს იდეალური არ არის, მაგრამ უკეთესია.

„სასამართლოსთან დაკავშირებით მთავარი და გადამწყვეტი იქნება ნება, რომელიც არსებობს დღეს ხელისუფლებაში, პირადად ჩემში და ჩემს გუნდში, რომ არც ვიფიქროთ ჩარევა სასამართლოს უფლებებში და არ დავიწყოთ ამ მიმართულებით ქმედებები. სასამართლო არის დღეს საზოგადოების ისეთივე ნაწილი, როგორიც არის: ჟურნალისტიკა, მთავრობა, პროკურატურა და პოლიცია. ჩემი სურვილია, უფრო ადრე განვითარდეს სასამართლო და, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ. პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა და მოსამართლეებმა გააცნობიერეს ახალი გუნდის პოლიტიკა, რომ არ ჩავერევით. ნელ-ნელა, სასამართლო და თითოეული მოსამართლე მოახერხებს იმას, რომ მიაღწიოს დამოუკიდებლობას“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ვფიქრობთ, რომ აფხაზეთის გავლით რკინიგზა აუცილებლად აღდგება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პრესკონფერენციაზე განაცხადა. ბიძინა ივანიშვილის თქმით, ეს მაშინ მოხდება, როდესაც პირველ რიგში, ქართული საზოგადოებიდან კითხვები არ იარსებებს.

„აფხაზეთის გავლით რკინიგზა საინტერესოა და უნდა გაიხსნას. ნებისმიერ ეკონომიკას, ნებისმიერი ახალი გზა აუმჯობესებს. ეს გააუმჯობესებს ურთიერთობასაც აფხაზებსა და ჩვენს შორის. საუბედუროდ, ძალიან ხშირად, პოლიტიკა ბევრს თამაშობს იმაზე, რაც მარტივია. ამ შემთხვევაში, ჩვენ ძალიან ვფრთხილობთ. კითხვები არსებობს და ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გასარკვევი საკითხები ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის რუსეთთან. აფხაზებთან სახალხო დიპლომატიის მეშვეობით ვახერხებთ ინფორმაციის გაცვლას. ეს პროცესი უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც არ გამოიწვევს დიდ ვნებათაღელვას. ჩემი აზრით, ზედმეტად პოლიტიზებულია ეს საკითხი და პროცესები ამიტომ მიმდინარეობს მდორედ. ჩვენ გვაქვს გამოსწორების სურვილი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც არ იარსებებს კითხვები, პირველ რიგში, საზოგადოებიდან. ჩვენ ვცდილობთ, რომ ყველას ანგარიში გაუწიოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გადავჭრით პრობლემებს და რკინიგზა აუცილებლად აღდგება“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„ჩემი დიდი სურვილია, რომ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრა მოხდეს, თუმცა, დღევანდელი სიტუაცია არ არის ამისთვის საკმარისი, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველოს ვლადიმერ პუტინი ეწვიოს, ივანიშვილმა განაცხადა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია.

პრემიერ-მინისტრის აზრით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ რუსეთზე არ არის დამოკიდებული.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა ყურადღება აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

„რუსეთთან ურთიერთობები ყველაზე მძიმე და ყველაზე საინტერესოა დღეს ჩვენთვის. კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადაიდგა — ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანა. ამავდროულად, შემაშფოთებელია კითხვები, რომელნიც ე.წ. საზღვართან დაკავშირებით არსებობს. არ ველოდები რაღაც სასწაულს და არ მაქვს ეიფორია იმისა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ხვალ მოხდება, ან მარტო რუსეთის გადასაწყვეტია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რუსეთის პრეზიდენტის ინტერვიუს დიდი ნაწილი საქართველოსთან ურთიერთობას დაეთმო. ყველაზე დიდი მინიშნება ჩემთვის ის იყო, რომ არსებობს ტერიტორია, არსებობს ხალხი და მინიშნება იყო ჩვენს ძმებზე — აფხაზებსა და ოსებზე, რომ ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ ეს პრობლემები. მე ეს მინიშნება აბსოლუტურად კარგად გავიგე და აბსოლუტურად ვეთანხმები. თქვენც ნუ გგონიათ, რომ პრობლემა მარტო რუსეთის გადასაწყვეტია. რა თქმა უნდა, რუსეთს აქვს დიდი როლი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არა მხოლოდ ტერიტორიებზე და მის დაბრუნებაზე ვიფიქროთ, არამედ ვიფიქროთ ადამიანებზე. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ჩვენი ძმების იმაში დარწმუნება, რომ ჩვენი თანაცხოვრება უფრო საინტერესოა, ვიდრე ის, რაც დღეს ხდება“, — ბიძინა ივანიშვილმა აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის გამთლიანების და აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობების აღდგენის „კლასიკური გასაღები“ ეკონომიკის განვითარებაა.

მან ისიც აღნიშნა, რომ სეპარატისტული რეგიონების არსებობა თავად რუსეთისთვის და მისი უსაფრთხოებისთვის საინტერესო არ არის.

მისივე თქმით, საქართველო შეეცდება, ხელი შეუწყოს სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარებას.

მიხეილ სააკაშვილი ეკონომიკის გაგებაში არ არის. **„ეკონომიკა უფრო ნაკლებად გაიზარდა ვიდრე უნდა გაზრდილიყო. მათ მოახერხეს არა ეკონომიკის გაზრდა, არამედ ბევრი ფულის მოგროვება. ფულის მოგროვება ისე ისწავლეს, რომ მერე თავად გადაერთვნენ ბიზნესში. მათ მოახერხეს შევარდნაძის პერიოდში საბაჟოებზე არსებული სიტუაციის გამოსწორება და ამაში ჩემი წვლილიც არის. მათ მოახერხეს მხოლოდ ბიუჯეტში სახსრების აკუმულირება, ეს არის მათი მიღწევა მხოლოდ, თუმცა, ესეც დაამახინჯეს“,** — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე შეფასებით, ეკონომიკას, პირველ რიგში, კონკურენტუნარიანობა სჭირდება.

„თუ გავითვალისწინებთ, როგორ მართავდა წინა ხელისუფლება ეკონომიკას, თუ გავითვალისწინებთ, როგორი ტოტალური მმართველობა ჰქონდა მის გუნდს და მთავარ პროკურატურას, ეს კაცი ეკონომიკის გაგებაში არ არის. ეკონომიკას რაც სჭირდება, პირველ რიგში, ეს არის კონკურენტუნარიანობა და თავისუფლება. ის უნდა იყოს დახვეწილი, ქმედითი და არც ერთ ჩინოვნიკი არ უნდა ერეოდეს. ის რაც ხდებოდა, 9 წლის განმავლობაში, ეს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ეკონომიკურ მმართველობას“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით უფრო მეტი დაიხარჯება ახალი ხელისუფლების პირობებში.

„ინფრასტრუქტურის მიმართულებით უფრო მეტი დაიხარჯება წელს. უფრო მეტი დაიხარჯება ახალი ხელისუფლების პირობებში. ის, რომ რაღაც ეტაპზე შეფერხება იყო, ეს გამოწვეულია იმით, რომ ძალიან ბევრი ტენდერი არასწორად იყო ჩატარებული, ძალიან ბევრი გადაწყვეტილება და პროექტი დაუხვეწავი და შესაჩერებელი იყო. მათ შორის არის რკინიგზის შემოვლითი გზა, რაზეც ძალიან ბევრი თანხაა ჩადებული და გადაყრილი“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნების დაკავება პოლიტიკურად არამომგებიან დროს განხორციელდა. ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა მერიისა და საკრებულოს მღალჩინოსნების დაკავებაზე კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, დაკავებებზე აუცილებლად უნდა ჩატარდეს გამოძიება, იყო თუ არა გადაცდომები.

„მათი დაკავება არასწორ დროს განხორციელდა, ეს იყო პოლიტიკურად არამომგებიანი, მაშინ ნატოს საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ პროცესების მართვა არ ხდება ერთი კაცისგან და ერთი ცენტრისაგან, ეს არის ნორმალური. სხვა დანარჩენი ვისაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქვს პრეტენზია და შენიშვნა, იქნება ეს სახალხო დამცველი, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, დაწერონ განცხადებები და ამისთვის არსებობს პროცედურები“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით: **„საქართველოში იწყება სამართლიანობის აღდგენის პროცესი და ის, რომ ოპოზიცია ამას უძალიანდება და ყველაფერზე მხოლოდ ყვირილით პასუხობს, ეს ვერ გამოდგება საბუთად. თუ საქმეზე არის საკმარისი მტკიცებულება, აუცილებლად მოხდება გამოძიება და სასამართლო მოახდენს რეაგირებას“.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებული თანამშრომლების საქმეს აქტიურად აკვირდებიან, როგორც სამოქალაქო საზოგადოება, ექსპერტები, ასევე — საელჩოები.

პრემიერის თქმით, განსაკუთრებით აქტიურობენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და შვეიცარიის საელჩოები, რისთვისაც ივანიშვილის განცხადებით, მათ მადლობაც გადაუხადა.

დასაგმობი უნდა დაიგმოს

„ამ თემაზე ბათუმში, უსაფრთხოების კონფერენციაზეც, ასევე ბოლო დღეებში მქონდა საუბარი. მე ვთხოვე მათ, ზედმეტად ნუ ჩაერევიან, ზედმეტად ნუ მოახდენენ ზეწოლას პროკურატურაზე, რამეთუ ეს ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ საელჩოებმა სერიოზული ექსპერტები მოიწვიეს, ჩვენ მათ მივეცით ექსპერტიზის ჩატარების საშუალება. არ არის იმის აუცილებლობა, რომ გარედან ჩარევა მოხდეს პროკურატურაზე“, — განაცხადა ივანიშვილმა.

დავით კირვალიძეს ერთ-ერთ საკუთესო მინისტრად ასახელებდა და ეს პროცესები მისთვის ძალინ მტკივნეული იყო.

მისივე თქმით, წინასწარ პატიმრობასთან ჰქონდათ ეჭვები და კითხვები, მაგრამ პროკურატურამ საკმარისი რწმუნებები დადო და ეს პროცესები, როგორც მისთვის არის ცნობილი, დასასრულს უახლოვდება.

„გასაგებია, რომ დღევანდელი პროკურატურა სუსტია, მაგრამ მე თვითონ არ ვუშვებ, არ მინდა მიეჩვიონ, ზემოდან გადაწყვიტოს ვიღაცამ რამე“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა ასევე უპასუხა კითხვას „რუსთავი 2“-ის ყოფილი მფლობელების საქმეზე. კერძოდ, საუბარია ჯარჯი აქიმიძის და დავით დვალის სარჩელზე, რომლებიც თავს ტელეკომპანიის 60%-ის კანონიერ მესაკუთრეებად თვლიან.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, არც ერთ შემთხვევაში არ მოხდება პოლიტიკური ჩარევა. **„როგორც ვიცი, მიდის გამოძიება. ვიცი, რომ მათ გარდა ქიბარ ხალვაშსაც აქვს პრეტენზია“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორობის მოვალეობის შემსრულებლები შესაძლოა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღარ დანიშნოს.

„განათლების შესახებ“ კანონპროექტში რექტორის დანიშვნასთან დაკავშირებული პუნქტის შესახებ ბიძინა ივანიშვილის თქმით, ის საქმის კურსშია, დეტალებიც კარგად იცის და ამასთან დაკავშირებით შეხვედრებიც ხშირი ჰქონდა, პირველ რიგში კი გიორგი მარგველაშვილთან.

„ეს იყო დროებით დანიშვნა არჩევნების მოსამზადებლად და არა მუდმივი, ეს იყო ნორმალური და მე ვფიქრობ, გუნდის ბევრ წევრს არც წაუკითხავს იქ რა ეწერა და ისე მოისურვა თავის გამოჩენა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ანგარიში მაქსიმალურად გავუწიეთ და მე მგონი ეს პუნქტი საერთოდ ამოდის მეორე ნახევრიდან“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე შეფასებით, კორექტული ნაბიჯები იქნა გადადგმული, კითხვები გაჩნდა, ბევრმა არ გაიაზრა, ბევრმა არ წაიკითხა, შეიძლება ბევრს მართლა არ მოეწონა, თუმცა ეს ნორმალური პროცესია.

„კარგია, რომ გუნდის შიგნიდანაც ხშირად ხდება წინააღმდეგობები, ესეც დემოკრატიის ნიშანია და გუნდურობა განმსაზღვრელი არ არის, განმსაზღვრელია, რომ იდეას გავყვეთ“, — მიაჩნია ბიძინა ივანიშვილს.

„განათლების შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტში მხოლოდ პირველი მოსმენით არის მიღებული. ცვლილებების მიხედვით კი, არჩევნებამდე უმაღლესი სასწავლებლების მოვალეობის შემსრულებლები პრემიერს უნდა დაენიშნა.

ირანთან მეზობლურ ურთიერთობას ვაგრძელებთ, — განაცხადა ბატონმა ბიძინამ.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა ამავდროულად ასრულებს გაეროს გადაწყვეტილებებს, რომ არავითარი „შავი ფული“ და არავითარი გაუგებარი პროდუქცია, რაზეც ემბარგოა დაწესებული, საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოვიდეს.

„ ჩვენ ყველა აღებულ ვალდებულებებს ვასრულებთ და ამავდროულად, მეზობლურ, კეთილმეზობლურ ურთიერთოებებს ვაგრძელებთ ირანის სახელმწიფოსთან“, — განაცხადა მან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების სურვილი არ აქვს.

„ჩემი პირადი სურვილი ეს არც ერთ შემთხვევაში არ იქნებოდა. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, პატივი ვცეთ კონსტიტუციას და როგორმე კონსტიტუციურ ფარგლებში ვიმოქმედოთ“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

◎ ტახტი არ ეთმობა

სააკაშვილი ქართველ ემიგრანტებს ხმის უფლებას ართმევს

„ნაციონალური მოძრაობის“ ოთხივე საპრეზიდენტო კანდიდატი ასეთია და ამას ყოველთვის ვიტყვი. ასე რომ, სააკაშვილის ხელში ისეა ყველაფერი გაბითურებული, რომ ასე მოხდა ისეთ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებითაც, როგორიც არის საპრეზიდენტო არჩევნები. ეს კი ძალიან ცუდად მოქმედებს პირველ რიგში, ქვეყნის იმიჯზე“.

საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ერთი დღის განმავლობაში ორი სხვადასხვაგვარი ინფორმაცია გაავრცელა. თავიდან, პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილმა მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ განკარგულება გამოსცა.

„საქართველოს პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა 2013 წლის 1 ივლისის განკარგულებას და აღნიშნული სამართლებრივი აქტი უკვე გამოცემულია. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარდება“, — აღნიშნა მანჯგალაძემ.



მოგვიანებით მისი ეს განცხადება გააბათილა მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 31 ოქტომბერს ჩატარდება, ხოლო თავდაპირველად დასახელებული თარიღი, 27 ოქტომბერი ტექნიკური შეცდომის ბრალი იყო. ბარნოვის განცხადებით, შესაბამისი სამართლებრივი აქტი, საპრეზიდენტო არჩევნების ოქტომბრის ბოლო კალენდარული დღით განსაზღვრასთან დაკავშირებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უკვე გადაეგზავნა. შესაბამისი განკარგულება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზეც განთავსდა.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 31 ოქტომბერი არის ხუთშაბათი და როგორც იურისტები განმარტავენ, პრეზიდენტმა ამ დღეს საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნით, მინიმუმ, სერიოზული გაუგებრობა შექმნა და უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, პრაქტიკულად, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ჩამოართვა, რადგანაც ეს დღე საქართველოში უქმედ რომც გამოცხადდეს, ცხადია, რომ არც ერთ სხვა ქვეყანაში ეს ასე არ მოხდება და იმ ადამიანებს, ვინც უცხოეთში ლეგალურად მუშაობს და ხმის მიცემის უფლებაც აქვს, ამის საშუალება უბრალოდ არ ექნებათ.

საპრეზიდენტო არჩევნების თარიღთან დაკავშირებით განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმაც გააკეთა. მისი თქმით, პრეზიდენტმა უკვე მოახერხა გარკვეული გაუგებრობების შექმნა.

„ჯერ არჩევნების ერთი თარიღი გამოცხადდა, რომელიც, როგორც ჩანს, მართლა ეწერა ქაღალდზე. შემდეგ ეს შეიცვალა. აქ არის გარკვეული საკითხები და ნიუანსები. სწორედ ამის გამო, მე შეიძლება, ერთი დღით ადრე დავბრუნდე საქართველოში და ამ საკითხებსაც მივხედოთ. არჩევნები სახელმწიფო მოვლენაა, რომელიც ჩვენი ჩასატარებელია — მთავრობის, პარლამენტის, ყველასი, ვინც ხელისუფლებაში ვართ. ამ სრულიად სამარცხვინო მოვლენების მიუხედავად, რაც არჩევნების თარიღის დასახელებას უკავშირდებოდა, ახლაც ეს გაუგებრობებია და ამას მალე უნდა დაესვას წერტილი. საარჩევნო კამპანია მშვიდად და წყნარად უნდა წარიმართოს — ყველა კანდიდატს უნდა მიეცეს ასეთ ვითარებში კამპანიის ჩატარების შესაძლებლობა“, — აცხადებს უსუფაშვილი.

„საარჩევნო პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი კახი კახიშვილი განმარტავს, რომ საარჩევნო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები მხოლოდ უქმე დღეს უნდა ჩატარდეს, მაგრამ კახიშვილის თქმით, მიხეილ სააკაშვილს ძალაუფლება ისე გაუტკბა, რომ კანონის გვერდის ავლით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება. კახიშვილი ფიქრობს, რომ პრეზიდენტს ამ გადაწყვეტილების შეცვლა მაინც მოუწევს, რადგან ეს სერიოზული კანონდარღვევაა. ექსპერტის თქმით, პრეზიდენტის აქტი გასაჩივრებადია და იგი საარჩევნო თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდებს, ეს აქტი სასამართლოში გასაჩივრონ.

„დარწმუნებული ვარ, სასამართლო გაუქმებს ამ აქტს, თუკი სააკაშვილი თვითონ არ შეცვლის ამ დარღვევას“, — აღნიშნავს კახი კახიშვილი.

იგი ფიქრობდა, რომ ვინაიდან 9 წლის განმავლობაში პრეზიდენტი სააკაშვილი ძალაუფლებაზე ორიენტირებული იყო, საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნისას მაინც მოახდენდა იმის დემონსტრირებას, რომ მისთვის ძალაუფლება არაფერს ნიშნავს და არჩევნებს ოქტომბრის შუა რიცხვებში დანიშნავდა, თუმცა, კახიშვილი ამბობს, რომ სააკაშვილის სტილი არ არის ორიგინალურობა და კანონმორჩილება და მან ბოლო 3-4 დღეც კი მიისაკუთრა. კახიშვილის თქმით, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებს არასწორად ნიშნავ, მთელი პოლიტიკური პროცესი ირევა და ამ არჩევნების შედეგად არჩეულ პრეზიდენტს შემდეგ შეიძლება ვინმემ უთხრას, რომ ეს არჩევნები არასწორად ჩატარდა, რადგან არ იყო უქმე დღე და საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ამ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცათ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საპრეზიდენტო არჩევნების თარიღთან დაკავშირებით განმარტებას არ აკეთებენ და აცხადებენ, რომ თუკი ვინმეს ამ საკითხზე პრეტენზიები აქვს, შეუძლია, სასამართლოს მიმართოს.

კონსტიტუციონალისტი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ საარჩევნო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ დღეს, გარდა საპრეზიდენტო არჩევნებისა, შემდეგ კი მითითებულია, რომ არჩევნების დღე უქმე დღედ ცხადდება.

„ვინაიდან საპრეზიდენტო არჩევნები კონსტიტუციის თანახმად, აუცილებლად კვირა დღეს იმართებოდა, როგორც ჩანს, ამიტომ გახდა საჭირო ამ ჩანაწერის გაკეთება, მაგრამ ეს ნორმა ორმაგი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა“, — აღნიშნავს ირაკლი კობახიძე.

მისი თქმით, შესაძლებელია, ამ ნორმის იმგვარად ინტერპრეტირება, რომ საპრეზიდენტო არჩევნები აუცილებლად უქმე დღეს უნდა ჩატარდეს, მაგრამ მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მაინცდამაინც არსად არ ჩანს, რომ ეს ასე უნდა მოხდეს. ამასთანავე, ირაკლი კობახიძე აღნიშნავს, რომ არაუქმე დღეს არჩევნების ჩატარება ამომრჩევლის აქტიურობაზე უარყოფითად იმოქმედებს, თუმცა, კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად არ კრძალავს არჩევნების არაუქმე დღეს ჩატარებას.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტის და მისი გუნდის ავი ზნე იმაშიც ჩანს, რომ მას ვერ გაურკვევია, როდის უნდა დანიშნოს საპრეზიდენტო არჩევნები. დეპუტატის თქმით, არჩევნების ხუთშაბათ დღეს დანიშვნამ ყველაზე მეტად უცხოეთში მცხოვრები ქართველების გულისწყრომა გამოიწვია.

„ბოლოს და ბოლოს რა გახდა, რომ ამ ადამიანებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მივცეთ, რათა მათ საკუთარი ნება თავისუფლად დააფიქსირონ. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც არჩევნები შუა კვირაში ინიშნება. შეიძლება, რომ ეს დღე საქართველოში უქმედ გამოცხადდეს, მაგრამ სხვა ქვეყნების სისტემა ჩვენი არჩევნების წესს ვერანაირად ვერ მოერგება და ჩვენს ემიგრაციას უქმე დღედ ამ დღეს არავინ გამოუცხადებს. ამიტომ ისინი ისევ პროცესებს მიღმა უნდა დარჩნენ“, — ამბობს გია ცაგარეიშვილი.

მისი თქმით, ეს ქართველი ემიგრანტების შეურაცხყოფაა. დეპუტატის თქმით, საუბარი იმაზე, რომ შესაძლოა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართოს, სისულელეა, რადგან პირველივე ტურში გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს. ცაგარეიშვილი ამბობს, რომ როგორც გორბაჩოვმა ვერ გარდაქმნა საბჭოთა კავშირი, ასევე ვერ გარდაქმნის მიხეილ სააკაშვილი საკუთარ პარტიას და ის გარნირი, რომელიც ბაქრაძის, მალაშხიას, ჯაფარიძისა და ბარამიძის სახით შემოუწყვეს გარშემო, მხოლოდ სააკაშვილის ერთგვარი ფანდია, რომ ბაქრაძის კანდიდატურა უკეთესად წარმოეჩინა.

„ჩვენ გვებრძვიან ან კრიმინალები, ან კრიმინალების მფარველები. „ნაციონალური მოძრაობის“ ოთხივე საპრეზიდენტო კანდიდატი ასეთია და ამას ყოველთვის ვიტყვი. ასე რომ, სააკაშვილის ხელში ისეა ყველაფერი გაბითურებული, რომ ასე მოხდა ისეთ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებითაც, როგორიც არის საპრეზიდენტო არჩევნები. ეს კი ძალიან ცუდად მოქმედებს პირველ რიგში, ქვეყნის იმიჯზე“, — აღნიშნავს გია ცაგარეიშვილი.

„ჩვენ გვებრძვიან ან კრიმინალები, ან კრიმინალების მფარველები. „ნაციონალური მოძრაობის“ ოთხივე საპრეზიდენტო კანდიდატი ასეთია და ამას ყოველთვის ვიტყვი. ასე რომ, სააკაშვილის ხელში ისეა ყველაფერი გაბითურებული, რომ ასე მოხდა ისეთ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებითაც, როგორიც არის საპრეზიდენტო არჩევნები. ეს კი ძალიან ცუდად მოქმედებს პირველ რიგში, ქვეყნის იმიჯზე“.

იგი კომენტარს აკეთებს საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ თანამდებობის დატოვების ვალდებულებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მმართველი გუნდის კანდიდატი მზად არის, ეს ნაბიჯი გადადგას. აქვე დეპუტატი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დავით ბაქრაძეს (როგორც საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს) იგივე ვალდებულება არ აკისრია და ეს მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის სერიოზული ხარვეზია, რადგან საპრეზიდენტო კანდიდატად ყოფნის პერიოდში ბაქრაძეს შეეძლება პარლამენტშიც იყოს, ისარგებლოს დაცვის სამსახურის მომსახურებით და ბევრი სხვა პრივილეგიით, რასაც მას საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის პოზიცია ანიჭებს.

„მართალია, კანონმდებლობის ასე უცებ გამოსწორება ვერ მოხერხდება, მაგრამ ბატონ ბაქრაძეს აქვს საშუალება, დაწეროს განცხადება და წავიდეს პარლამენტიდან, თუკი ისეთი გულადია, როგორც მესხიშვილის თეატრის სცენაზე ჩანდა“, — აცხადებს დეპუტატი.

რუსიკო უშიკიშვილი

კომპანია „მაგთიკომი“ ქართულ საქმეს აკეთებს

კომპანია „მაგთიკომი“ კვლავ აგრძელებს ქართული საქმის კეთებას. ქართველი საზოგადოება უკვე მიეჩვია კომპანიის მხარდაჭერით განხორციელებულ სხვადასხვა ეროვნულ პროექტს, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ როგორც კულტურული, ისე სამეცნიერო მიმართულებების განვითარებაში.

მაგალითისთვის საკმარისია, გავიხსენოთ კომპანიის ხელშეწყობით დაფინანსებული სხვადასხვა გამოცემა, ალბომი, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის დანიშნული სტიპენდიები.

ყველა მათგანის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს და ამიტომ თქვენს ყურადღებას შევაჩერებ იმ ბოლო პროექტზე, რომელიც უდავოდ დიდი საჩუქარია არა მხოლოდ სპეციალისტებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.

კომპანია მაგთიკომის ინიციატივითა და მხარდაჭერით გამოიცა ზაზა აბაშიძის, მიხეილ ბახტაძისა და ოთარ ჯანელიძის ნაშრომი „საქართველო და ქართველები“. წიგნის პრეზენტაცია 2013 წლის 2 ივლისს 19 საათზე

მაგთი კლუბში გაიმართა.

„კომპანია „მაგთიკომის“ მხარდაჭერითა და ინიციატივით ათეულობით წიგნი თუ ალბომია გამოცემული. ვინ ვართ და საიდან მოვდივართ? — ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შეიქმნა საკითხავი წიგნი „საქართველო და ქართველები“, სადაც მოთხრობილია ქართველთა პოლიტიკური თავგადასავალი უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე.

„კომპანია არ ღალატობს დევიზს „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ და მომავალშიც გავაგრძელებთ ქართული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას“ — განაცხადა კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნინო სურგულაძემ.

წიგნის შექმნის იდეა მთლიანად ბატონ გია ჯოხთაბერიძეს ეკუთვნის. მანვე ითავა მისი გამოცემა და მთლიანად იყო ჩართული წიგნის შექმნის პროცესში, რისთვისაც მას ავტორებმა და შეკრებილმა საზოგადოებამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს.

„წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ და იმედი გვაქვს, იგი საინტერესო იქნება საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის. წიგნის შექმნის იდეა მაგთიკომს ეკუთვნის და გამოცემაც მანვე ითავა“, — ამბობს წიგნის ავტორი ზაზა აბაშიძე.

„წინამდებარე წიგნი არ გახლავთ სახელმძღვანელო. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენასა თუ მოღვაწეზე წიგნის ავტორებს გამოთქმული აქვთ სხვა ისტორიკოსთაგან განსხვავებული თვალსაზრისი, მას სამეცნიერო ნაშრომის პრეტენზია არა აქვს. პირიქით, ავტორები შევეცადეთ, გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისთვის „ჩამოგვეშორებინა“ მეცნიერული გზამკვლევისთვის დამახასიათებელი ელემენტები და მისთვის გამარტივებული, თხრობითი ხასიათი მიგვეცა.

აქედან გამომდინარე წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. მართალია, რომ ბევრმა ქართველმა ისტორიკოსმა, ლევან სანიკიძემ, შოთა მესხიამ, მარიკა ლორთქიფანიძემ, როინ მეტრეველმა და მრავალმა სხვამ შექმნეს ამა თუ იმ ეპოქისა და მოვლენისადმი მიძღვნილი არა ერთი შესანიშნავი ნარკვევი, ქართული საზოგადოება არცთუ ისე იყო განებივრებული მსგავსი სახის ნაწარმოებებით.

შეიძლება ითქვას, რომ წიგნი, რომელიც თქვენს წინაშეა, ამ მიმართულებით განხორციელებული პირველი ცდაა და ამიტომ ჩვენი თხოვნა იქნება, რომ ნუ ელით ახალ აღმოჩენებს. მასში გადმოცემული ყველა საკითხი ქართველ ისტორიკოსთა თაობებმა უკვე კარგა ხანია რაც შეისწავლეს და ავტორები სწორედ ამ ნაშრომებს დავეყრდენით“, — აღნიშნა ზაზა აბაშიძემ.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქართული საისტორიო მეცნიერებისა და საზოგადოების წარმომადგენლები როინ მეტრეველი, გიორგი ოთხმეზური, გურამ გომართელი, მამა ალექსანდრე, პაატა სურგულაძე და სხვები.

მათ თავიანთ გამოსვლებში შეაფასეს წიგნის მნიშვნელობა და განსაკუთრებით აღნიშნეს კომპანია „მაგთიკომის“ დიდი წვლილი არა მხოლოდ ამ წიგნის გამოცემაში, არამედ კომპანიის მესვეურთა მხარდაჭერა იმ მრავალი და აუცილებელი პროექტის განხორციელებაში, რომლებიც ესოდენ ესაჭიროება ქართულ დღევანდელობას.

ავტორებმა დიდი მადლობა მოახსენეს პროფესორ ომარ ნიშნიანიძეს, პროფესორ გვანცა აბდალაძეს, პროფესორებს ნანა ხაზარაძეს და კიაზო ფიცხელაურს კონსულტაციებისა და სასარგებლო რჩევებისთვის.

მაგთი კლუბში გამართული პრეზენტაცია, რომელიც წიგნის „საქართველო და ქართველები“ გამოცემას მიეძღვნა, სასიამოვნო და თბილ გარემოში მიმდინარეობდა. საღამო კიდევ უფრო გაალამაზა ჯაზბენდმა, რომელიც დამსწრე საზოგადოებას გემოვნებიანი მუსიკით შესაბამის განწყობას უქმნიდა.

კომპანია „მაგთიკომს“, კი რომელიც კვლავაც აგრძელებს ქართული საქმის კეთებას, ვუსურვოთ წარმატება ამ მართლაც დიდ ეროვნულ საქმეში.

გია გაბრიჭიძე

◎ ალიან-ჩალიანი

პრემიერ მლიქვნელობაში განაფული ადამიანებისგან იღებს ინფორმაციას

„ძართული დასი“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პრემიერ-მინისტრის განცხადებას პაატა ბურჭულაძესთან დაკავშირებით არაკორექტულს უწოდებს. მისი შეფასებით, იმის თქმა, რომ პაატა ბურჭულაძე გიორგი მარგველაშვილის ღირსეული კონკურენტი ვერ იქნება, პრემიერისთვის შეუფერებელია. — პრემიერ-მინისტრის ასეთი თვითდაჯერებულობა და მაღალი თვითშეფასება კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ის ინფორმაციულ იზოლაციაშია და მხოლოდ მლიქვნელობაში გაწაფული ადამიანებისგან იღებს ინფორმაციას ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. პაატა ბურჭულაძე ჩვენი ერის ღირსეული შვილია, რომელსაც ქართული საზოგადოება ენდობა და პატივს სცემს. ამიტომ, მისი შეფასება, არასათანადო ღირსების კონკურენტად საზოგადოების უპატივცემულობაა. მოვუწოდებ პრემიერ-მინისტრს, სათანადოდ შეაფასოს და პატივი სცეს მოწინააღმდეგეებს და ბოდიში მოიხადოს არაკორექტული გამონათქვამის გამო, — აცხადებს ბაღათურია.

პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევას ვერც პაატა ბურჭულაძე შეძლებს.

მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის შეცვლა მოუნევს

საარჩევნო საკითხებში ექსპერტი კახა კახიშვილი „საარჩევნო კოდექსის„ მე-6 მუხლის მოთხოვნის გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის შეცვლა მოუწევს. როგორც კახიშვილმა განაცხადა, „საარჩევნო კოდექსის„ მე-6 მუხლში დაწერილი მოთხოვნის შესრულება მნიშვნელოვანია როგორც კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით, ასევე უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისათვის, რათა მათ არჩევნებში მონაწილეობა შესძლონ.

— ძალიან უცნაურია იმ ადამიანების განმარტებები, რომლებიც ამბობენ, რომ მთავარია არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს და მნიშვნელობა არა აქვს ის ორი-სამი დღით ადრე გაიმართება, თუ — გვიან. „საარჩევნო კოდექსი“ ორგანული კანონია და ის პირდაპირ ამბობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები სამუშაო დღეებში არ უნდა გაიმართოს, ანუ ის უნდა ჩატარდეს ოფიციალურად უქმე დღეებში — შაბათს ან კვირას. ამ შემთხვევაში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ თავის დროზე, კანონში ეს ნორმა კონსტიტუციის ჩანაწერის გამო ჩაიდო. „საარჩევნო კოდექსის„ მე-6 მუხლი მოქმედებს, ის ძალაშია და საჭიროა მისი გათვალისწინება, — განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე კახა კახიშვილმა.

გარდა ამისა, როგორც კახიშვილმა განაცხადა, არასამთავრობო სექტორის მხრიდან პრეზიდენტის სახელზე გაიგზავნა მიმართვა, სადაც საუბარია არჩევნების თარიღის შეცვლაზე.

ეუთოს დეკლარაციასა და რეზოლუციებში საქართველოს შესახებაც არის საუბარი

სტამბოლში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 22-ე პლენარული სესიის ფარგლებში ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია და რამდენიმე რეზოლუცია დაამტკიცა.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, სახელწოდებით „ჰელსინკი +40“ „დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების დაცვისა და ჰუმანიტარული საკითხების“ შესახებ ქვეთავის 152-ე პუნქტში ნათქვამია, რომ ასამბლეა მიესალმება საქართველოში ხელისუფლების არჩევნების გზით პირველად შეცვლას.

— იხსენებს რა, 2012 წელს მონაკოში, საქართველოს სიტუაციის შესახებ მიღებული რეზოლუციის პრინციპებს და მიესალმება რა, ისტორიაში პირველად ხელისუფლების გადაცემას არჩევნების გზით, ასამბლეა ხაზს უსვამს კანონის უზენაესობის მნიშვნელობას, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, თავი შეიკავოს შერჩევითი სამართლის გამოყენებისგან და შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და საპრეზიდენტო არჩევნების სავარაუდო კანდიდატის, ვანო მერაბიშვილის წინასწარი დაკავების თაობაზე, — ნათქვამია რეზოლუციაში.

როგორც ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის „პოლიტიკური საქმეებისა და უსაფრთხოების“ ქვეთავშია აღნიშნული, ასამბლეა მოუწოდებს ეუთოს თავმჯდომარეებსა და პარტიებს, გააორმაგონ ძალისხმევა კავკასიისა და მოლდოვას რეგიონში კონფლიქტების გადაჭრის გზების მოძიების მხრივ.

— ასამბლეა ასევე მოუწოდებს მონაწილე პარტიებს, უზრუნველყონ საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის პროცესის დაწყება და რეკომენდაციას უწევს შეათანხმონ მექანიზმები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნებისთვის, — ნათქვამია რეზოლუციაში. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა ასევე მოუწოდებს ეუთოს, აღადგინოს სადამკვირვებლო მისია საქართველოში.

ინტერპრესი

იქნებ ჩვენს მიგვიძღვის წვლილი ქვეყნის დეგრადაციაში?

თანამედროვე ჩინეთის ფუძემდებელი დენ სიაოპინი ამბობდა – „არ არის აუცილებელი, ყვიროდე ლამაზი ვარო, როცა მახინჯი ხარ“. დიდმა დენმა ეს სიტყვები მილიარდნახევრიან ჩინეთს შეჰბედა. თითქმის შიმშილობის ზღვარზე მყოფი უზარმაზარი ქვეყანა აშკარად იმსახურებდა ესოდენ მკაცრ შეფასებას.

დენ სიაოპინი მარტო ფაქტის კონსტატაციით არ შემოფარგლულა. მისმა ახალმა, პრაგმატულმა პოლიტიკამ, დაფუძნებულმა გამონათქვამზე – „არ აქვს მნიშვნელობა, რა ფერისაა კატა, მთავარია, თაგვებს იჭერდეს“, ფუნდამენტური რევოლუცია გამოიწვია მთელს ქვეყანაში.

შედეგიც გამოკვეთილია – ჩინეთი ეკონომიკური თვალსაზრისით, აშშ-ის შემდეგ, მეორეა მთელს მსოფლიოში. ჩინეთის არმია ყველაზე მრავალრიცხოვანია. მისი სამხედრო აღჭურვილობა თანამედროვე დონეზეა. ჩინეთის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსთვის.

დენ სიაოპინი – მაო ძედუნის დროს აღზევებულ-დაღზევებული, თანამედროვე ჩინეთის სახეა, ისეთი, რომელსაც ბევრი ინატრებდა, მაგრამ დენ სიაოპინობა ყველას ხვედრი არ არის. მას სხვა გაქანება, ცოდნა, სხვა გამოცდილება სჭირდება, ისეთი, რომელიც მხოლოდ გენიოსებს ახასიათებთ. მე-20 საუკუნემ არცთუ ბევრი გენიოსო შვა, მათ შორის დენ სიაოპინიცაა. მაგრამ ჩვენი სიუჟეტი სულაც არ ეხება ამ დიდი პიროვნების პოლიტიკურ სახეს. მის გამოძერწვას დრო და სხვანაირი აღღო სჭირდება.

დენ სიაოპინი იმიტომ ვახსენე, რომ ზოგიერთი – შეგნებულად თუ შეუგნებლად, გაუანალიზებლად, ზედაპირულად ცდილობს მას მიბაძოს, მისი ბიოგრაფია საკუთარს დაამთხვიოს და აქედან გამომდინარე, თავიც გაიმართლოს არა დღევანდელი საზოგადოების, არამედ ხვალინდელის წინაშე.

მაგალითად, საქართველოს ყოფილი პრემიერი, ამჯერად „მატროსოვში“ გამომწყდეული, მის წინააღმდეგ წაყენებულ ყველა ბრალდებას შეთითხნილად, პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მიიჩნევს და როგორც ჩანს, ამ პოზიციაზე დარჩება სასამართლო პროცესის დროსაც. ის არ აღიარებს დანაშაულს. მას მიუსჯიან – რამდენს, არავინ იცის, მაგრამ არა სიკვდილს.

გავა წლები, საზოგადოებას მიავიწყდება მის მიერ ჩადენილი ბოროტება და ციხიდან გამოსული, ყოფილი „პოლიტიკოსი“ ჩაერთვება დიდ პოლიტიკაში, როგორც სამხრეთ აფრიკელი ნელსონ მანდელა ან დენ სიაოპინი. ის უტუხად იტყვის, რომ ხელისუფლებამ უკანონო ანგარიშსწორება მოახდინა მასზე და საქმის დასამძიმებლად კრიმინალობა, ხალხის კვლა დასწამა.

თავს წამოჰყოფენ მისი მეგობრები, დაჭერას გადარჩენილი „პოლიტიკოსები“ და დაიწყება ახალი ვანოობა. იმჟამინდელი საზოგადოება დიდის ვიშ-ვიშით იტყვის – რა პატიოსანი კაცი გაუწირავთო და ა.შ.

საქართველოს ახასიათებს მსგავსი რამ. დღეს, ყველა ერთად – ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, რაც მთავარია საზოგადოებაც გულმოდგინედ გმობს გამსახურდიას რეჟიმის ძალისმიერ დამხობას, არადა მათი დიდი ნაწილი აქტიურად იყო ჩართული ხელისუფლების დამხობაში. ვერ ვიტყვთ, რომ გამსახურდია მამა-აბრამის ბატკანი იყო, მაგრამ არც მისი მოწინააღმდეგეები ყოფილან კრავები.

დრო, ისეთი რამ არის, კეთილს ბოროტად წარმოაჩენს და ბოროტს კეთილად, დღევანდელ კრიმინალს, ხვალინდელ ანგელოზად.

ის, რაც დღეს არის გასაკეთებელი, დღეს უნდა გაკეთდეს – დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მით უმეტეს ბოროტი კრიმინალი, თანაც ისე, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ აეკრძალოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა „პოლიტიკურ“ წამებულს მიიღებს და აქედან გამომდინარე ბოროტების აღორძინებას.

ნაცმოძრაობის ლიდერები დენ სიაოპინობას ლამობენ. ალბათ გულში იმასაც ფიქრობენ - ციხიდან გამოსვლის შემდეგ ხომ გავაგრძელებთ პოლიტიკურ მოქმედებას – მოპარული ფულიც შეგვრჩება და ჩადენილი ბოროტებაცო.

და რომ ეს არ მოხდეს, დღევანდელ ხელისუფლებას ძალა უნდა ეყოს წინამორბედი ნაცების დასჯისთვის, „ნაციონალური მოძრაობის“ კანონგარეშედ გამოცხადებისთვის, უკლებლივ ყველა ნაცისთვის პოლიტიკური ცხოვრების აკრძალვისთვის.

ნაცთა მიერ ჩადენილი დანაშაული განუზომელია, რისთვისაც ის, უდავოდ, იმსახურებს უსასტიკეს განაჩენს არა მარტო სასამართლოს, არამედ საზოგადოების მხრიდანაც.

ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთი დამადასტურებელია ვიდეომასალები, რომელთა ნახვაც ხალხისთვის აუცილებელია. ხალხმა უნდა ნახოს ის, რასაც მის მიერ არჩეული „ნაციონალური მოძრაობა“ სჩადიოდა. სხვისი მონაყოლით დასკვნების გაკეთება ძნელია.

ხალხს და არა ჭრელა-ჭრულა არასამთავრობო ორგანიზაციებს – ამერიკული ფულით გამოზრდილებს, გაყიდულ ჟურნალისტებს და ე.წ. პოლიტიკოსებს უნდა ჰქონდეს სადისტური ვიდეომასალების ნახვის შესაძლებლობა. ხელისუფლება ვალდებულია ხალხს წარუდგინოს ცხრაწლიანი ბოროტების ავტორების, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი მას ნაცური ხელისუფლების დამცველად აღიქვამს.

ხალხმა უნდა იცოდეს 9 წლის განმავლობაში ვისთან და რასთან ჰქონდა საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში თავხედი და ბოროტი ნაცები, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, უტუხად იტყვიან - ყველაფერი ფალსიფიკაცია იყოო, აკი უკვე ბრძანა ბოროტების მამა სააკაშვილმა, მოგონილიაო.

ვის არ აწყობს ვიდეოფირების ტელევიზიით ჩვენება? უპირველესად, „ნაციონალურ მოძრაობას“, მის დასავლელ პარტნიორებს, მათ მიერ შექმნილ-გამოზრდილ არასამთავრობოებს, ნაცებთან ჩახუტებულ ნაცთა კოორდინატორებს და ა.შ.

მათი რაოდენობა საგრძნობია და თუ ხელისუფლებამ არ გადადგა მტკიცე ნაბიჯი ჩვენებისკენ, ხვალ ყველა ისინი იყავყანებენ – ფალსიფიკაცია იყოო, ხოლო ზეგ, ახალი ბოროტებით დამუხტულნი დალაშქრავენ ამ ქვეყანას. სახალხო ნახვის შემდეგ გამოწვეულ ზიზღს კი ისინი კარგა ხანს ვერაფერს დაუპირისპირებენ.

დღევანდელ ხელისუფლებას განგებამ მისცა შანსი, პასუხი აგებინოს მოწინააღმდეგეს, რომელმაც უდიდესი ბოროტება ჩაიდინა ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

არა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ვიწრო – პარტიულ ანგარიშსწორებად, რასაც ხშირად ამბობენ ნაცები, ეს იქნება ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მხრიდან ხალხის სურვილის დაკმაყოფილება.

2012 წლის პირველ ოქტომბერს ხალხმა მხარი დაუჭირა ივანიშვილს უპირველესად იმისთვის, რომ წერტილი დაესვა საყოველთაო ნაცური ბოროტებისთვის და დამნაშავე ხელისუფლება ციხეში გაეშვა.

დიახ! ხალხის სურვილი იყო ეს და არა ის, რასაც „ენჯეოები“, ე.წ. ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ქადაგებენ – ვიდეოკადრების ფართო ჩვენება ქართულ საზოგადოებას ორად გახლეჩსო. ვეჭვობ, რომ ასე მოხდეს, მაგრამ თუ მოხდა, ამაში ცუდი არაფერია, ვინაიდან დაგროვილი ჩირქი უნდა გამოირწყას, დაავადებული ორგანიზმი სიბინძურისგან დაიცალოს. მხოლოდ ჯანსაღ ორგანიზმს შეუძლია ქართულ საზოგადოებაში გაჩენილი ნაცური მეტასტაზებისგან განთავისუფლება, მხოლოდ ჯანმრთელს შეუძლია ქვეყნის შიდა და გარე გამოწვევებთან გამკლავება.

აღმოჩენილი ვიდეომასალები საკმარისია იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჰააგას მიმართოს – წინა ხელისუფლების მიერ ხალხის მასობრივი წამებისა და გენოციდისთვის. საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წელიც უნდა გაიხსენოს და ომის გაჩაღებისთვის, ცხინვალში ჩადენილი სისასტიკისთვის, წინა ხელისუფლების გასამართლების სურვილით უნდა მიმართოს ჰააგას.

მავანი შემედავება – ეს ხომ ქვეყანას თავს მოჭრისო? საქართველომ, დამოუკიდებლობის 23 წლის განმავლობაში არაერთხელ მოიჭრა თავი, მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ვერაფრით ავუვლით გვერდს თბილისის ომს, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას, სამეგრელოს აწიოკებას, „მხედრიონის“ თარეშს, აფხაზეთის ომს, 2007 წელს, პოლიციის მიერ ხალხის სამაგალითო დასჯას, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევას, 2008 წელს, საკუთარ სახლში ომის წამოწყებას და ცხინვალის მოსახლეობაზე „გრადების“ დაყრას, ტერიტორიების დაკარგვას, პატიმართა ცოცხებით „მოთვინიერებას“, 2011 წლის მაისს, პარლამენტის შენობის წინ მომიტინგეთა „ტომარაში“ მოქცევას და მათ მიმართ სასტიკ ანგარიშსწორებას.

ეს არასრული ჩამონათვალი ბევრი ხომ არ არის პატარა ქვეყნისთვის, თანაც დროის მცირე მონაკვეთში?!

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ნელი გენოციდიც განახორციელა – 40 წლის ასაკის და ზემოთ, მოსახლეობის სამსახურებიდან დათხოვნა, ოჯახების უთეთრო „დიეტაზე“ დასმა, მედიკამენტებზე ფასებისა და სამედიცინო მომსახურების კატასტროფულად გაზრდა, საბოლოო ჯამში დარდისა და ხელმოკლეობისგან, შიმშილისგან ადამიანთა ნაადრევი გასტუმრება საიქიოში.

ცხრა წლის განმავლობაში ხელისუფლებამ მოახერხა ქვეყნის საძოვრების უცხოელებზე და ნაცთა მხარდამჭერ ბიზნესმენებზე გაყიდვა, მესაქონლეობის, საერთოდ სოფლის მეურნეობის გაპარტახება, რომ აღარაფერი ვთქვათ მრეწველობაზე.

ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს აღორძინებისთვის უცხოეთიდან შემოსული ფული ხელისუფლებამ ჯიბეში ჩაიდო. ყველა პარამეტრით ქვეყანა წარმოუდგენელი სიღარიბის წუმპედ აქცია, ათეულ-ათასობით ჯან-ღონით სავსე მოქალაქე ლუკმა-პურის საძიებლად უცხოეთს გაისტუმრა. განა აღნიშნული საკმარისი არ არის ხალხის მოძულე ნაცმოძრაობის კანონგარეშედ გამოსაცხადებლად? განა ეს საკმარისი არ არის ნაცთა დიდი ნაწილის გასასამართლებლად?

ვიცით, რომ ამ სამართლიან საქმეში აშშ და მისი მოკავშირეები მხარს არ დაგვიჭერენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ მიერ არის შექმნილი ნაცმოძრაობა, იმიტომ, რომ მიუხედავად არსებული სინამდვილისა, ისინი დღესაც მხარს უჭერენ ნაცებს, იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში ნაცები მათ დაკვეთას ასრულებდნენ.

ბოროტების ქართულ ბუდესთან ერთად ვაშინგტონურიც არსებობს. ამას მრავალი ფაქტი მეტყველებს. ავიღოთ თუნდაც 2008 წლის ომი. ვინ დაიჯერებს, რომ სააკაშვილის ავანტიურა ამერიკელებს გამოეპარათ? არც არავინ.

ვინ დაიჯერებს, რომ მრავალი წლის განმავლობაში შსს აწამებდა პატიმრებს და ამის ამსახველ კადრებს, აშშ-ის ყურადღების მიღმა, დიდის რუდუნებით ინახავდა? ვინ დაიჯერებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მხოლოდ თავისი ინიციატივით უსმენდა ყველას და ვაშინგტონმა არ იცოდა?

ვიკილიკსისა (WikiLeaks) და ახლა უკვე სნოუდენის გმირული საქციელის შედეგად, ხომ ცნობილი გახდა, რომ ამერიკის სპეცსამსახურები ყველას, მათ შორის საკუთარ მოკავშირეებსაც უსმენდნენ. აშშ-ის სპეცსამსახურები იყვნენ და არიან ჩვენს აბაზანებში, ტუალეტებში, საძინებელ ოთახებში და ა.შ.

დაუჯერებელია ივანიშვილის გულუბრყვილო ნათქვამი – სააკაშვილმა ყველა მოატყუაო. სააკაშვილმა კი არ მოატყუა, არამედ აშშ-მა მოატყუებინა სააკაშვილს მთელი მსოფლიო. თუმცა, ესეც გადაჭარბებულია, ვინაიდან არც მსოფლიოა ისეთი გულუბრყვილო, რომ თავი მოიტყუოს. მას უბრალოდ სჭირდება ასე. რა გაეწყობა, ჩვენ რომ დემოკრატიული გვგონია, იმ საზოგადოებაშიც ძლიერის და დიდისადმი მონური მორჩილებაა და რახან ასეა, გერმანიას, საფრანგეთს, ევროკავშირსა და ნატოს წევრ ქვეყნებს ისე კეთილად უნდა შეეხედათ სააკაშვილსთვის, როგორც ვაშინგტონი უყურებდა.

ვაშინგტონი კი, არა მარტო პოლიტიკური მოსაზრებით „იხიბლებოდა“ სააკაშვილის პერსონით, არამედ მერკანტილურობითაც. გარდა ამისა, რა სჯობს სააკაშვილისთანა ხისთავა ანტირუსს, რუსეთის საზღვართან? გადამთიელის გამო, მხოლოდ ხისთავა დაუპირისპირდებოდა, გადამთიელის სამხედრო სიძლიერის დონის მეზობელს. მხოლოდ ხისთავა და ბოროტი გასწირავდა სამშობლოს ამერიკელთა დავალების შესასრულებლად. თუმცა, სააკაშვილის სამშობლო ხომ იქ არის?!

და მიუხედავად იმისა, მოეწონება თუ არა ეს ვაშინგტონს ან ბრიუსელს, ხელისუფლებამ სააკაშვილის დასასჯელად ჰააგისკენ უნდა გასწიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გასწირავს საქართველოს მოსახლეობას, მის მომავალს.

მავანი მეტყვის, აღარ მიგვიღებენ ნატოში და ევროკავშირშიო. მათი აზრით, ისეთი ქვეყნის მიღება, როგორიც საქართველოა, საბოლოოდ გაუფუჭებს იმიჯს ევროპასა და ნატოს.

შემედავებიან – საქართველო რა შუაშიაო.

ჩადენილ დანაშაულებში ყველა ჩვენგანს მიუძღვის ბრალი – პირდაპირ თუ ირიბად. საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველამ ყველაფერი იცის. ასეთ ვითარებაში რომ სააკაშვილსა და მის ნაცბანდიტებს გაანავარდებ – დანაშაულია. ასეთ ვითარებაში, რომ არჩევნებზე თუნდაც ერთ ხმას მისცემ – დანაშაულია. ასეთ ვითარებაში, რომ დამნაშავე პრეზიდენტისგან ჯილდოს მიიღებ - დანაშაულია.

დიახ! ჩვენ, ყველამ ერთად, ჩავიდინეთ დანაშაული – ჩვენი წაყრუებით, თვალის დახუჭვით, მხარდაჭერით თუ ნაცების გვერდით დგომით – საკუთარი კუჭის ამოყორვისთვის.

დიახ! ჩვენ ჩავიდინეთ დანაშაული და ამის აღიარების ვაჟკაცობაც არ გვყოფნის, ისე, როგორც ეს გააკეთა გერმანიამ, იაპონიამ. პირიქით, ნაცვლად ამისა, დაჩოქილი ვთხოვთ ვიღაც რასმუსენებს – ნატოში მიგვიღეთო და ისინიც დიდაქტიკურად შეგვახსენებენ – 17 მაისის მომწყობებს, ნატოში რა გესაქმებათო. რა გამოდის, თურმე ნატოში შესასვლელად, ავღანეთში სისხლის ღვრის ნაცვლად, უკანალის ქნევა ყოფილა საჭირო. ასეთ ნატოში რა გვესაქმება?!

ბატონო ბიძინა! საზოგადოების აზრი ხშირად იცვლება და რა გასაკვირია, რომ გუშინდელი გადაწყვეტილება, მით უმეტეს გაყალბებული, დღეს აღარ გამოგვადგეს? ჭეშმარიტების დასადგენად ახალი რეფერენდუმის ჩატარებაა საჭირო.

ჩვენ სხვა გზა გვაქვს ასარჩევი – უპირველესად თვითგანწმენდის, ფსევდოპატრიოტიზმისგან თავის დაღწევის, ტყუილის, ბოროტების ჩამოშორების, სიკეთის დასადგურების, საკუთარი ცხოვრების თვითშენების, სხვათა მოიმედეობისგან განთავისუფლების, საკუთარი კარ-მიდამოს, ქუჩის, სოფლის, ქალაქის, ქვეყნის პატიოსანი გზით მშენებლობის, ახალი თაობის ვაჟკაცურად აღზრდის და როდესაც ამას გავაკეთებთ, სხვები შეგვეხვეწებიან ჩვენთან კავშირში შემოდითო.

აი, ასეთი ცხოვრება უნდა აშენოთ თქვენ და არა ისეთი, რასაც დღეს აშენებთ. პატრიოტიზმით უნდა დამუხტოთ საზოგადოება და არა წამდაუწუმ არასერიოზული ძახილით – წავალ-წავალო. თქვენ რა გგონიათ, უკვე შექმენით ისეთი სტაბილურობა, რომ წყალი არ გაუვა?

წასვლა და კოალიციის დაშლა ერთი იქნება. წასვლა, ბრძოლის ველიდან, გაქცევის ტოლფასია. წასვლა, იმის აღორძინება იქნება, რაც იყო.

სამოქალაქო საზოგადოებიდან კი არა ხელისუფლების მაღალი მწვერვალებიდან ჭირს დაუმორჩილებელი საქართველოს მართვა. მხოლოდ დენ სიაოპინმა შეძლო ქვეყნის შორიდან მართვა. მაგრამ ის ჩინეთი იყო. საქართველო სხვაა – ერთმანეთის გაუტანლობით, ქედმაღლობით, არაერთი ნეგატიური თვისებით „შემკობილი“. მას სხვა ხელი, სხვა მართვა ესაჭიროება.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ თვითნებობა

ბიზნესზე ზემოქმედების ნაციონალური მეთოდები არ დასრულებულა

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც საპარლამენტო არჩევნებზე „ნაციონალურ მოძრაობას“ ამომრჩეველმა უარი უთხრა, ჩინოვნიკების მხრიდან ბიზნესზე ზეწოლა იყო. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში ბიზნესზე ზეწოლა კვლავ ძველი მეთოდებით გრძელდება. როგორც სამშენებლო კომპანია „სანის“ დირექტორი სერგო გვარამია აცხადებს, ახალი ხელისუფლების პირობებში, მის მიმართაც მსგავს მეთოდებს იყენებენ. გვარამია ფიქრობს, რომ, სავარაუდოდ, ეს ახალი ხელისუფლების ტაქტიკა არ არის და ხელისუფლებას შემორჩენილი „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენები ცდილობენ, „მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ“ და, შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს მის მიმართ პირადი შურისძიებაც კი ამოძრავებს.

გვარამიას ინფორმაციით, როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, საგადასახადო სამსახურმა კომპანიიდან დოკუმენტაცია ამოიღო და შემოწმება დაიწყო.

გასული წლის 26 ნოემბერს შპს „სანის“ დირექტორის სერგო გვარამიას მიმართ 210-ე მუხლით, რაც ყალბი საანგარიშსწორებო ან საკრედიტო ბარათების გამოყენებას გულისხმობს, გამოძიება დაიწყო. კერძოდ, გამოძიება გვარამიას საწარმოო სალაროდან 7 მილიონ 255 ათასამდე ლარის უკანონოდ გატანას ედავებოდა.

ამ ბრალდებით გვარამია 6 დეკემბერს დააკავეს და აღმკვეთ ღონისძიებად 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ დაცვის მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ბრალდებული 50-ათასი ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

გვარამიას ადვოკატის ედიშერ ქარჩავას განცხადებით, წინა სასამართლო სხდომა, რომელიც 2013 წლის იანვრის ბოლოსთვის იყო ჩანიშნული, პროკურატურის მოთხოვნით, საკმარისი მტკიცებულებების უქონლობის გამო, რამდენჯერმე გადაიდო.

საბოლოოდ, შვიდი თვის შედეგ, სასამართლო განხილვისას გაირკვა, რომ კომპანიას ყალბი დოკუმენტები არ დაუმზადებია და არც 7 254 929 ლარი მიუთვისებია.

გვარამიას ადვოკატის ედიშერ ქარჩავას განმარტებით, ბრალდება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო, გვარამიას ედავებოდნენ, თითქოს, სალაროს გასავლის ორდერით გაიტანა 7 მილიონი ლარი, რაც გამოძიებით არ დადასტურდა. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა შუამდგომლობა, რომ ბრალდება იყო აბსურდული და სერგო გვარამიას დაკავების საფუძველი არ არსებობდა.

როგორც გვარამიას ადვოკატი ამბობს, შემოსავლების სამსახურიდან და ბანკიდან ამოღებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ არანაირი ყალბი საკრედიტო ბარათი არ არსებობდა. რაც შეეხება სალაროს გასავლის ორდერს, ადგილი ჰქონდა საბუღალტრო აღრიცხვის წესის დარღვევას, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ ბუღალტერს და არა კომპანიის დირექტორს. საუბარია საბუღალტრო გადაცდომაზე და შესაბამისი მუხლი დღეს ამნისტირებულია. რაც შეეხება, 7 მილიონის გაფლანგვას, აღნიშნული არც საგადასახადო რევიზიის აქტით არ დასტურდება. ედიშერ ქარჩავა ამბობს, რომ რაკი გამოძიება ჩიხში შევიდა, უკანონო ქმედებებზე გადავიდნენ.

„პროკურატურას ერთადერთი გამოსავალი დარჩა, ბრალდების უკან წაღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო იძულებული გახდება, გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოიტანოს, რადგან პროკურატურის ოთხივე მტკიცებულება გაბათილებულია“, — აცხადებს ადვოკატი.

როგორც ედიშერ ქარჩავა ამბობს, სერგო გვარამიასთვის ბრალის დადასტურების არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და 8-თვიანი გაჭიანურებული გამოძიების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს კომპანიიდან მისაღები შემოსავლების სახით 5-მილიონიანი ზიანი მიადგა, ხოლო თვით კომპანიას — 4 მილიონ ლარზე მეტი ზიანი.

თავად გვარამია სამეგრელო-ზემო-სვანეთის ოლქის პროკურორ ვალერიან იოსავას შანტაჟში ადანაშაულებს. გვარამიას განცხადებით, პროკურორმა იოსავამ 11 ივნისს იგი საკუთარ კაბინეტში, როგორც მოქალაქე და არა მოწმე, ან ბრალდებული, ისე დაიბარა და დაემუქრა, რომ თუ მის მიმართ წარმოებულ საქმეზე საპროცესო შეთანხმებას არ დათანხმდებოდა, სამ თვეში კომპანიას გაუკოტრებდა. შეხვედრა იოსავას კაბინეტში, ფინანსური პოლიციის უფროს სერგო თორიასთან ერთად შედგა.

ამის შესახებ გვარამიამ განცხადებით მიმართა მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს, სადაც აღწერილი იყო, ვის მიერ და რა ფორმით ხორციელდებოდა მასზე ზეწოლა. შედეგად მთავარი პროკურატურის გენინსპექციამ გამოძიება დაიწყო.

სერგო გვარამიას ადვოკატი იმედოვნებს, რომ გამოძიება მომავალში მაინც კანონიერად და ზეწოლის გარეშე გაგრძელდება.

„იოსავას მიმართ მარტო ჩვენ არ გვაქვს პრეტენზიები, ჩემი კოლეგის მამუკა ნოზაძის საჩივრის განხილვა უკვე მიმდინარეობს სტრასბურგში. ლაპარაკია საქმეზე, რომელიც ადვოკატის უკანონო დაკავებას ეხება მაშინდელი მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვალერი იოსავას მიერ. ასეთი პიროვნების საოლქო პროკურორად დანიშვნა ახალი ხელისუფლების მიერ, ალბათ, საკმაოდ რისკიანი გადაწყვეტილება იყო. ყველაზე ცოტა, მან თანამდებობა უნდა დატოვოს, დანარჩენს კი, ალბათ, გამოძიება დაადგენს“, — აცხადებს ედიშერ ქარჩავა.

სერგო გვარამია აცხადებს, რომ მის მიმართ ზეწოლა თბილისში, ფინანსურ პოლიციაშიც განხორციელდა.

სერგო გვარამია: „მოულოდნელად, ფინანსურ პოლიციაში დამიბარეს. შემხვდა ფინანსური პოლიციის უფროსი ლევან ქარდავა. როგორც გამაცნეს, შეხვედრას ესწრებოდნენ მისი მოადგილე და საგამოძიებო სამსახურის უფროსი. მითხრეს, რომ კომპანიას ყველანაირად გაუხსნიდნენ გზას, ბანკებთან ურთიერთობაში დაგვეხმარებოდნენ, საგადასახადო დავალიანებას გადაგვივადებდნენ, სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმებაზე წასვლა მომთხოვეს. თავიანთი კეთილგანწყობა ახსნეს იმითი, რომ კომპანია „სანი“ მსოფლიო ბანკის პროექტებში მონაწილეობდა და ამ პროექტების ჩავარდნა არ აწყობდათ.

ვუთხარი, რომ კომპანია ამ პროექტების განხორციელებას მაინც დაასრულებდა, რომ ჩემს მოადგილეს გადავიყვანდი დირექტორად და პროექტები ჩემი დაკავების პირობებშიც კი დასრულდებოდა. ვუთხარი, რომ საპროცესო შეთანხმებაზე არ წავიდოდი და სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდებოდი. როგორც ჩანს, ამ პირობისთვის მზად არ აღმოჩნდნენ, ვიღაცას დაურეკეს და უთხრეს, ასეთ პირობას გვთავაზობს და რა ვქნათო. თანაც ოფიციალურად, საშვით კი არ შემიყვანეს, არამედ თანამშრომელი გამოუშვეს, რომელმაც პირდაპირ შემიყვანა შენობაში. შეხვედრა ზუგდიდის ფინანსური პოლიციის უფროსის შუამდგომლობით მოხდა, მან დამირეკა და მითხრა, რომ მის ხელმძღვანელებს ჩემთან საუბარი სურდათ... ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, არ ვიცი“.

ედიშერ ქარჩავა ამბობს, რომ ამ საქმით დაინტერესებულმა ადამიანებმა დაკავების მოტივად და საფუძვლად, სერგო გვარამიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ საოლქო პროკურორ როლანდ ახალაიას შორის ურთიერთობა მიიჩნიეს.

სერგო გვარამიასა და დღევანდელი ხელისუფლების ჩინოვნიკებს შორის შეხვედრა შეთანხმების გარეშე დასრულდა, შედეგად, როგორც ჩანს, კომპანიის გაკოტრების პროცესი უკვე დაიწყო, მუნიციპალური განვითარების ფონდმა დევნილთა კორპუსის მშენებლობის დაკვეთა „სანის“ იმ მიზეზით გაუუქმა, რომ სამშენებლო ვადები დაირღვა. როგორც გვარამია ამბობს, მშენებლობის დაწყების ვადიდან დაახლოებით ერთ თვეში შენობის ჩაბარება მოითხოვეს.

„საქართველოში არ არსებობს კომპანია, რომელიც ჩემზე სწრაფად შენობას ააშენებს. სერგო გვარამია თავისი „სანით“ თავის დროზე ყელში ამოუვიდათ ნაციონალებს, მაშინ რომ ვერაფერი მომიხერხეს, იგივე ხალხია გადმოყოლილი და ახლა ცდილობენ, მომენტი გამოიყენონ. ეს მთავრობა ჯერ არ მიცნობს, არ იციან როგორ კომპანიაზეა საუბარი. ფაქტია, რომ ბევრი პროექტები მქონდა განხორციელებული და ახლა ადვილია, ნაციონალების იარლიყი მომაკერონ“, — აცხადებს გვარამია.

სამეგრელოს საოლქო პროკურორი ვალერიან იოსავა და სამეგრელოს ფინანსური პოლიციის უფროსი ლევან კაკავა ყველა დაინტერესებულ პირს, შეგნებულად შეცდომაში შეყვანის მიზნით ეუბნებოდნენ, კომპანიის დირექტორმა სერგო გვარამიამ აღნიშნული თანხა მიითვისაო.

რატომ უნდა იყოს დაინტერესებული სამეგრელოს საოლქო პროკურორი ვალერიან იოსავა აღნიშნულ საქმეზე საპროცესო შეთანხმებით, ადვილი მისახვედრია. დაზარალებული მხარე ვარაუდობს, რომ იოსავა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

„სერგო გვარამია უკანონო ბრალდებით დააკავეს, თითქოს, მან 7 მილიონი ლარი „შეჭამა“ და ბიუჯეტს დიდი ზიანი მიაყენა. 8 თვის შემდეგ კი შემოსავლების სამსახურის შემოწმების აქტით დადგინდა, რომ მას ეს თანხა არ მიუთვისებია. გვარამიას მიმართ ცრუ ბრალდებების გამო, სახელმწიფომ 5 მილიონ ლარზე მეტით იზარალა. როდესაც გამამართლებელი განაჩენის დადგომისთანავე, უკანონო ბრალდებას გავასაჩივრებთ, რა თქმა უნდა, ოლქის პროკურორისა და საგამოძიებო ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ამიტომ, აქ თვითგადარჩენის ინსტინქტი მუშაობს და ისევ იმ ძველი მეთოდებით აპირებენ უკანონო ბრალდების გატანას“, — მიიჩნევს ედიშერ ქარჩავა.

დაზარალებული მხარე ასევე ვარაუდობს, რომ სერგო გვარამიას დაკავებით ფინანსური პოლიციის თანამშრომლებიც იყვნენ დაინტერესებული, რომელთაც თავის დროზე ოლქის პროკურორი შეცდომაში შეიყვანეს.

შპს „სანი“-ს საქართველოში 35 პროექტი აქვს განხორციელებული, მათ შორისაა სასტუმრო „ოქროს საწმისი“ ანაკლიაში, ზუგდიდის პარკი და ა.შ. ამჟამად კომპანია 10-მდე პროექტზე მუშაობს.

მარიამ თოდაძე

◎ ომი თბილისისთვის

ბრიტანული გამოცემა საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს

შეიძლება ეკონომიკა სტაგნაციის მდგომარეობაშია, მაგრამ საქართველოს შეუძლია იტრაბახოს სიტყვის თავისუფლებით, გამჭვირვალობით და მაღალკონკურენტული სამართლებლივი ბაზრით. მცირე იურიდიული სექტორის მისაღებად კავკასიაში, საქართველოში ორი დიდი იურიდიული ფირმა იბრძვის.

შედარებით ახალი Dechert კონკურენციას უწევს DLA Piper-ს სამართლის სფეროში, სადაც დიდია პოლიტიკური დემოკრატიის იმედი, მაგრამ ერთ-ერთი იურისტის თქმით, ასევე არსებობს შეშფოთების გარკვეული საფუძველი თითქმის სტაგნატურ მდგომარეობაში არსებული ეკონომიკის გამო.

თბილისზე ბრძოლაში კიდევ ერთი საერთაშორისო მოთამაშე Dentons და რამდენიმე მაღალი კლასის ადგილობრივი ფირმა მონაწილეობს.

თბილისში მყოფმა IMF-ის დელეგაციამ რამდენიმე კვირის წინათ ბუნდოვანი შეფასება წარმოადგინა: ფონდმა საქართველოს დადებითი შეფასება მისცა ღია არჩევნებისთვის, მაგრამ, ამავდროულად, მიუთითა ახალი მთავრობის გაურკვეველ პოლიტიკურ ელფერზე, რაც შემოდგომაზე მოსალოდნელი საპრეზიდენტო არჩევნების გამო კიდევ უფრო გაუარესებულია.

„მნიშვნელოვანია ის, რომ მთავრობა დემოკრატიული გზით შეიცვალა“ — ამბობს DLA Piper-ის თბილისის ოფისის მმართველი პარტნიორი ტედ ჯონასი. **„დემოკრატია შეიჭრა სისტემაში — ამჟამად ჩვენ გვყავს ფუნქციონირებადი პარლამენტი, რაც მანამდე არ ყოფილა“.**

იხ. 8 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

ირანთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად, დროებით გაუქმდა

მაია ფანჯიკიძის თქმით, ირანთან სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმების გადაწყვეტილება საგარეო საქმეთა სამინისტროს არ მიუღია, ეს გადაწყვეტილება მიიღო კომისიამ, რომელიც მიგრაციის საკითხებზე მუშაობს. ამ კომისიის თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი. ფანჯიკიძის განცხადებით, საემიგრაციო პოლიტიკა საქართველოში არ არსებობდა და ახლა მიმდინარეობს მისი შემუშავება.

— ახალი გამოწვევებია, რის გამოც, აუცილებელი გახდა ამ პოლიტიკის შემუშავება. ამ პოლიტიკის შემუშავების ფარგლებში უნდა გადაიხედოს და მოწესრიგდეს სავიზო რეჟიმები სხვადასხვა ქვეყნებთან. ამ კომპლექსური საკითხის ნაწილია ის, რომ დროებით, ცალმხრივად შეჩერდა უვიზო მიმოსვლა ირანთან. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი შემთხვევა 2012 წელს იყო, როდესაც ირანმა შეაჩერა ცალმხრივად ეს ხელშეკრულება და არავითარი ვნებათაღელვა ამას არ მოჰყოლია. მაშინ ეს რამდენიმე თვით იყო შეჩერებული, ახლაც ასეა, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ. მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილებით ირანის მოქალაქეებს არანარი პრობლემები არ შეექმნებათ საქართველოში ჩამოსვლაში და მათ შეუძლიათ ვიზები აიღონ როგორც საქართველოს საკონსულოში, ასევე საზღვარზე.

ინტერპრესი

◎ დედაქალაქი

ნაგავსა და ჭუჭყში დამხრჩვალი ზღვა

ბოლო დროს მსოფლიო სატელევიზიო ახალი ამბების გამოშვებების, ასე ვთქვათ, „გამჭოლ თემად“, თურქეთსა და ეგვიპტეში სამოქალაქო არეულობებთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთის ზოგიერთ რაიონში არნახული სიცხეებია. თერმომეტრის სინდიყი იქ დღისით ცელსიუსით 50 გრადუსს კარგა ხანია სცილდება, რის გამოც ქალაქების მუნიციპალური სამსახურები, მოსახლეობის გაფრთხილების პარალელურად, პირდაპირ ქუჩებში გასაბერ აუზებს დგამენ, რომელთა გვერდით საგანგებოდ მოსაჩრდილებელ ქოლგებსა და სკამებსაც აწყობენ, რათა დასიცხულმა ხალხმა გაგრილებაც შეძლოს და მერე ჩრდილში სულიც მოითქვას.

ეს შესავალი, ასე ვთქვათ, შედარებისთვის მოვიყვანეთ, ხოლო თუ რას ვადარებთ, ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ზაფხულის „კენწეროს“, ივლისის დადგომის მიუხედავად, გადაბმული პაპანაქება სიცხეები, ისეთები, თბილისში ჩვეულებრივ რომ იცის ხოლმე, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით არ ყოფილა, თუმცა ტემპერატურა მაინც მაღალია და ხალხიც გასაგრილებლად დედაქალაქის შემოგარეში წყალსაცავებს აშურებს. ლისის და კუს ტბები, ასევე თბილისის ზღვა რახანია ქალაქელთა და სტუმართა დასვენების, სიცხისგან თავის დასაღწევი პოპულარული ადგილებია. მათგან დამსვენებელთათვის ყველაზე კეთილმოწყობილი და, შესაბამისად, მიმზიდველი კუს ტბაა, შედარებით ნაკლებად კომფორტულია ლისის ტბა, თუმცა, კი გარკვეული ინფრასტრუქტურა ბოლო ხანებში იქაც გაშენდა. თანაც ამ ადგილს ძალიან კარგი პერსპექტივა აქვს ტბის ნაპირზე ახალი ტიპის უბნის აშენებასთან დაკავშირებით. ყველაზე მიგდებული და, რომ იტყვიან, „უპატრონო“ თბილისის ზღვაა, დედაქალაქის შემოგარენში უდიდესი ხელოვნური წყალსაცავი, რომელსაც ზაფხულის დღეებში ათასობით კაცი მიაშურებს ხოლმე ოჯახის წევრებთან თუ ახლობელ-მეგობრებთან ერთად. იმის თაობაზე, თუ როგორი მოუწყობელია იქაურობა, როგორი ჭეშმარიტად „ველური“ პირობებია დამსვენებლებისთვის, ამის შესახებ ჩვენი გაზეთი წინა წლებშიც წერდა. ჰოდა, იმის გასარკვევად, თუ რა შეიცვალა თბილისის ზღვაზე თუნდაც ბოლო ერთი წლის მანძილზე, იქაურობას ვესტუმრეთ. თავშივე ვიტყვით, რომ სურათი, რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად არასახარბიელო დაგვხვდა — უბრალოდ, სიტყვა „აღმაშფოთებელი“ გამოყენებას მოვერიდებით.

დავიწყებთ იმით, რომ თბილისის ზღვის პლაჟის, ფაქტობრივად, სრული მოუწყობლობა, გასახდელი ჯიხურების, დასაწოლების, მოსაჩრდილებლების, ტუალეტების, სასმელი წყლის უქონლობა, აქაურობას აშკარად არამიმზიდველს ხდის, მაგრამ სიცხეში ყოფნას, ნაკლებად შეძლებულ ხალხს, მაინც აქ ამოსვლა ურჩევნია. ამას პლაჟის, მისი მიმდებარე ზოლის ათასგვარი ნარჩენით, პლასტმასის ბოთლებით, სხვა საყოფაცხოვრებო ნაგვით დაბინძურება, გორაკებიდან ჩამოყოლილი გახეთქილი სასმელი წყლის მილიდან(?!) დაგროვილი წყლის გუბეების კოღოების ბუდეებად გადაქცევასაც თუ დავამატებთ, ვფიქრობთ, ცხადი გახდება, რომ აქ დასვენება უფრო გადასახლებას ჰგავს, მაგრამ, რომ იტყვიან, „გაჭირვება მანახეო“...

არადა, საკითხავია, განა რას უცდის ან დედაქალაქის მერია, ანდა გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლობა, რატომ არ უფრთხილდება ამ ხელქმნილ სიმდიდრეს, რომელსაც თბილისის ზღვა ჰქვია და რატომ არ ზრუნავენ მუნიციპალური ჩინოსნები თანამოქალაქეთათვის დასვენებისთვის ელემენტარული, ცივილიზებული პირობების შექმნაზე? განა ყოფის უკლებლივ ყველა სფეროში თანამოქალაქეთათვის ნორმალური, ცივილიზებული საზოგადოების საკადრისი პირობების შექმნა ყველა დონის მუნიციპალური ჩინოსნის — მით უმეტეს მაღალის! — უპირველესი ამოცანა არ არის? სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, განა თავიანთ ყოველთვიურ ხელფასებს ისევ იმ ხალხის გადასახადების ხარჯზე არ იღებენ, რომელსაც ასე უპატივცემლოდ ეპყრობიან?

ასეა, დანამდვილებით ვიცით, რომ ასეა, მაგრამ წლების მანძილზე თბილისის ზღვაც და დედაქალაქის ბევრი სხვა დასასვენებელი ადგილიც რომ გავერანებულია, ისიც ცნობილი ამბავია.

მიუხედავად მუნიციპალური სათანადო სამსახურების მუშაობის მიმართ გამოთქმული პრეტენზიებისა, ერთი საყვედური თავად დამსვენებელთა მისამართითაც უნდა ითქვას. ასეა თუ ისე, ზღვაზე დედაქალაქის დასუფთავების სამსახურს რამდენიმე ნაგვის ბუნკერი დაყენებული აქვს, პლაჟის და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაზე რამდენიმე თანამშრომელიც ზრუნავს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც დაბინძურებული რჩება. განა ასე ძნელია საკუთარი საჭმლის ნარჩენების, ცარიელი ბოთლების, ქაღალდის, ნახმარი პარკებისა და ა. შ. ნაგვის ბუნკერამდე მიტანა? საკუთარ ქალაქზე ზრუნვა ხომ თითოეული მოქალაქის ვალიცაა!

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არის რამდენიმე დადებითი მომენტიც, რომელზეც აუცილებლად გვინდა ყურადღების გამახვილება. ერთია სამაშველო სამსახურის გამართული, კვალიფიციური მუშაობა, რომლის თანამშრომელთა ყურადღება პატარა დამსვენებელთა მიმართ განსაკუთრებით აღსანიშნავია. მეორე ის გარემოებაა, რომ ამჟამად ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი აკვაპარკის მშენებლობა მიმდინარეობს. ერთი კია, იქ შესვლა ბევრისთვის ძვირი იქნება, რის გამოც დამსვენებელთა გარკვეული კატეგორია მის ხშირად სტუმრობას ვერ შეძლებს. ამიტომ, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი პლაჟის კეთილმოწყობა მუნიციპალური სამსახურების ერთ-ერთი პირველი რიგის გასაკეთებელი საქმეა.

და კიდევ ერთი. საკმაოდ პრობლემურია თავად ზღვაზე მისვლის, ანუ ტრანსპორტის პრობლემა. ამასაც აუცილებლად უნდა მიხედვა, თორემ, აბა, „ტყუილად გაჭმევთ პურსა, დედაქალაქისა თუ რაიონის მამებო“?

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ კონტაქტები

საავაჭრო ურთიერთობათა „მეორე სუნთქვა“

შარშან საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდგომ ჩვენსა და რუსეთის ვითარების უკეთესობისკენ შეცვლის ზოგიერთი დამაიმედებელი ნიშანი გაჩნდა, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან დაკავშირებითაც. რამდენიმე დასახელების მინერალური წყალი და სხვადასხვა სამარკო ღვინო რუსეთის მაღაზიებში უკვე თავისუფლად იყიდება.

როგორც ჩანს, საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობათა თანდათანობით აღდგენის პროცესი გარკვეული ლოგიკით ვითარდება და ამჟამად საქმე სოფლის მეურნეობის სხვა სახის პროდუქციაზეც მიდგა. როგორც საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ზურაბ ჩეკურიშვილი აცხადებს, **— საქართველოდან რუსეთში, სავარაუდოდ, ხილ-ბოსტნეულისა და თაფლის გატანას დავიწყებთ, მიწოდების პირობების თაობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს რუსულ მხარესთან, რომელიც დაახლოებით ივლისის შუა რიცხვებში დასრულდება და ქართული სოფლის მეურნეობის მცენარეული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე მიწოდება დაიწყება. სურსათის მიწოდება ორმხრივი იქნება — საქართველო რუსეთს ხილ-ბოსტნეულსა და თაფლს მიაწვდის, რუსეთიდან კი ჩვენში ხორცსა და რძის პროდუქტებს შემოიტანენ.**

როგორც ჩანს, ორ ქვეყანას შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები თანდათან „მეორე სუნთქვას“ იძენს, რაც, დაგვეთანხმებით, ნამდვილად იმედის მომცემი ნიშანია.

ნინო ალექსანდრია

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ვრაგები

● **პარლამენტმა, სინთეტიკური ნარკოტიკის აკრძალვის შესახებ კანონის განხილვა 1 თვით გადადო მაშინ, როდესაც ყოველდღე ათობით ახალგაზრდა იღუპება ე.წ ბიონარკოტიკით. კოჰაბიტაციით გართულები ალბათ ვერ იცლიან ასეთი „უმნიშვნელო“ საკითხის განხილვისთვის?! თითოეულ, ამ შხამით გარდაცვლილ ადამიანზე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისროს ხელისუფლებას. ეს არის საკუთარი ხალხის ფეხებზე დაკიდება.**

● **დეპარდიეს საპირწონედ, სააკაშვილმა ფილმი „მამები“ დეფაქტოდ აღიარა.**

● **კოშმარი ღამე მქონდა. ვითომ კალენდარზე 31 ოქტომბერს ვხევდი და ისევ ის ამოდიოდა.**

● **მანანა მანჯგალაძე სააკაშვილისთვის მიწერილ მტშ-ს ავრცელებს, სადაც მას მარიკა ვერულაშვილი 3 თავ ხახვს თხოვს.**

● **ქართველ კაცს, ოცნებაც კი არ შეუძლია ნორმალურად...**

● **რვათვიანი უსამართლობის, უმუშევრობის და შიმშილის ფონზე ახალი ხელისუფლების პასუხი შემდეგშია:— ნუ დაგვახრჩობთ და ნორმალურად გვაცადეთ ოცნება...**

● facebook-ზე 3 მთავარი ნიუსია: ნაცების კანდიდატი პრეზიდენტობაზე, ნინი ბადურაშვილის სკანდალი ოჯახში და საყოველთაო ჯანდაცვის მეორე ეტაპი. მიუხედავად იმისა, რომ უფასო ჯანდაცვა ეხება ყველა მოქალაქეს, მაინც ნინი ბადურაშვილის ოჯახური დრამა ჩანს ყველაზე პოპულარული. „სხვისი საცველები“ — ქართული ფეისბუკ აუდიტორიის ფავორიტი!

● **ევროპაში ისეთი სიცხეებია, იტალიას რუკაზე ბასანოჩკის ფორმა აქვს.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

განათლების სამინისტრო ახალი პროგრამის განხორციელებას იწყებს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით პროექტს „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალურად დაუცველი, ქცევითი პრობლემების მქონე და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისთვის საქართველოში“ იწყებს.

ახალი პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს წარუდგინა.

პროგრამა მიზნად ისახავს განათლების ეროვნული მოდელის შექმნას საქართველოში განათლების საჯარო სექტორისთვის. ამ მიზნით იგეგმება სოციალურად დაუცველი, ქცევითი პრობლემების მქონე და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების შესახებ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა; სამიზნე ჯგუფების ბავშვების იდენტიფიცირება საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით; საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შედგენა თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის და ეროვნული მოდელის სადისკუსიო დოკუმენტის შექმნა.

პროგრამა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ბაზაზე შექმნილ ფსიქოლოგიურ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდება.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ივანიშვილი: რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს აუცილებლად აღვადგენთ

საძართველოს პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტებთან ურთიერთობისთვის ირჩევს ბიბლიოთეკას თავის რეზიდენციაში, მინის ფუტურისტულ კომპლექსში, რომელიც თბილისს გადმოსცქერის. 2011 წელს 55 წლის მილიარდერმა და მეცენატმა ბიძინა ივანიშვილმა შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, გადაწყვიტა წასულიყო პოლიტიკაში. 2012 წლის ოქტომბერში მისმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო მოეგო პარლამენტის არჩევნები, სადაც გაუსწრო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა რუსეთთან ურთიერთობებზე, პრეზიდენტ სააკაშვილთან დამოკიდებულებაზე, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიბრუნონ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და, აგრეთვე, თავის „ქართულ ოცნებაზე“.

— სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებანი არსებითად შეკვეცილია. მიუხედავად ამისა, ეს მეტად მნიშვნელოვანი პოსტია, პრეზიდენტობის კანდიდატი თუ ჩვენი პარტიიდან არის ვიცე-პრემიერი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი. რატომ ის? რატომ თქვენ არა?

— დავიწყებ ბოლოდან, მე ვაპირებ პოლიტიკიდან წასვლას, თანაც ძალიან მალე, უმალვე არჩევნების დამთავრებიდან, ამიტომ არა მაქვს განზრახული კენჭი ვიყარო პრეზიდენტობაზე. არის სხვა მიზეზიც. პრემიერის პოსტი კონსტიტუციით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პრეზიდენტის პოსტი.

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, მას აქვს ყველა თვისება, რომ გახდეს ღირსეული პრეზიდენტი, მაგალითად, ის არის განათლებული, აქვს დიდი გამოცდილება, არის კარგი მენეჯერი. კრეატიულად კარგი მეგობარი და გუნდის მოთამაშე. ის მეტად პატიოსანი კაცია, უყვარს თავისი ქვეყანა, და არ მოიკლავს თავს თანამდებობისთვის. ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ იგი, სხვებისგან განსხვავებით, უფლებამოსილებათა ვადის გასვლის შემდეგ არ დაიწყებს ბრძოლას თავისი სავარძლისთვის.

ვფიქრობ, ის ძალიან პოპულარულია თბილისში. რეგიონებში მას ნაკლებად იცნობენ, მაგრამ საქართველო პატარა ქვეყანაა და ის შეძლებს რამდენიმე თვეში გაეცნოს მოსახლეობას. ამავე დროს მას დაეხმარება ჩვენი კოალიციის პოპულარობა, რომელმაც იგი დაასახელა პრეზიდენტობის კანდიდატად. ჩვენ კარგი რეიტინგები გვაქვს.

ივანიშვილი: ვოცნებობ მოვანესრიგო ურთიერთობანი რუსეთის ფედერაციასთან და შევუერთდეთ ნატოს

სააკაშვილსა და მე ხელისუფლებაში მისი მოსვლის დღიდან ორწლინახევრის განმავლობაში ძალიან ახლო ურთერთობა გვქონდა. მე მას ბევრ რჩევას ვაძლევდი, ვეხმარებოდი მას და სახელმწიფოს. იმის შემდეგ, რაც მან გვიჩვენა თავისი ჭეშმარიტი სახე, ტიპური დიქტატორის არსი, რომ მას არაფერი დემოკრატიული არ გააჩნია, მის შემდეგ, რაც მან ქვეყანას გაუკეთა, აღარ მაქვს სურვილი ვიქონიო კონტაქტები მასთან. და არც ამის აუცილებლობა იქნება.

— თქვენი ერთ-ერთი წინასაარჩევნო ლოზუნგი იყო რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება. შესაძლებელია თუ არა მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა სოჭის 2014 წლის ოლიმპიადისათვის.

— ალბათ, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა სოჭის ოლიმპიადამდე არ გამოვა. საჭიროა დროც და შესაბამისი ვითარებაც. თუმცა, რუსეთ-საქართველოს კავშირურთიერთობათა გაუმჯობესება შესაძლებელია. ზოგიერთი პოლიტიკური ძვრები უკვე მოხდა. პრაქტიკულად აღდგა სავაჭრო ურთიერთობები, ქართული პროდუქცია უკვე გავიდა რუსეთის ბაზარზე. ჩვენ აქტიურად ვმუშობთ რეგულარული ავიარეისების აღდგენაზე მოსკოვსა და თბილისს შორის. მიმდინარეობს მოლაპარაკება სავიზო რეჟიმის შემსუბუქებაზე და გაუქმებაზეც კი.

მაგრამ ჯერ კიდევ რჩება პრობლემები, მაგალითად, მავთულხლართებით დაბრკოლებათა მშენებლობასა და მესაზღვრეების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ადამიანების დაპატიმრებებთან დაკავშირებით, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს კეთდება ცენტრალიზებულად კრემლიდან. ერთი სიტყვით, რუსეთთან ურთიერთობათა მოწესრიგების პირველი ეტაპი ჩვენ გავიარეთ მეტად სწრაფად და წარმატებით. არის პერსპექტივა ურთიერთობათა შემდგომი ნორმალიზაციისთვის, მაგრამ დაგვჭირდება დრო. სოჭის ოლიმპიადამდე ერთი წლის განმავლობაში დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას ვერ მოვასწრებთ, მაგრამ სამომავლოდ აუცილებლად აღვადგენთ მათ.

— მოსკოვში სოხუმსა და ცხინვალში არ არიან მზად მიიღონ თბილისის მოთხოვნები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. რა კომპრომისებია შესაძლებელი ამ საკითხებზე მოლაპარაკებასა და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრობლემების მოწესრიგებასთან დაკავშირებით?

— მე არ ვიცი, თუ რას დავუთმობთ და რას უნდა ელოდნენ ჩვენგან. ვფიქრობ, აფხაზეთმა და სამხრეთმა ოსეთმა, უწინარეს ყოვლისა, თავად, უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, ჩვენ კი შევძლოთ შევუქმნათ აფხაზებისა და ოსებისთვის მიმზიდველი სახელმწიფო. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ არა მიწისთვის, არამედ ადამიანებისთვის. ხალხს უნდა გაუჩნდეს სურვილი იცხოვროს ჩვენთან და ეს გახდება გადამწყვეტი. მეგობრული ურთიერთობებისა და მოლაპარაკების გარდა, სხვა გზები არ არსებობს.

ევროპარლამენტარების მიმართვა ივანიშვილისადმი

რამდენად შესაძლებელია ამის გაკეთება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, რთული საკითხია. კონკრეტული პასუხი ამაზე მე არ გამაჩნია. ყველაფერი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მაგალითად იმაზე, თუ როგორ განვითარდება ურთიერთობანი რუსეთთან, მაგრამ ადრე თუ გვიან, ეს მოხდება.

— თქვენ იქნებოდით მზად პირადად ჩართულიყავით რუსეთთან მოლაპარაკებაში ურთიერთობათა აღდგენისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხზე?

— რასაკვირველია, როგორც კი გაჩნდება ამის აუცილებლობა. ჯერჯერობით კი სიტუაცია ორივე მხრიდან არ მომწიფებულა, მაგრამ ეს დროც მოვა.

— როდის?

— არ გამოვრიცხავ, რომ სოჭის ოლიმპიადამდე. თუმცა, კონკრეტული თარიღის დასახელება ძნელია. მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ ოლიმპიადას და ჩვენი მხრიდან უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რათა იგი წარმატებით გაიმართოს. როგორც კი ხელისუფლებაში მოვედი, განვაცხადე თანხმობა, მივიღოთ მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში, რაზეც წინა ხელისუფლება წინაღმდეგი იყო. ვფიქრობ, ოლიმპიადამდე ბევრი რამ მოხდება და შეიძლება თავად ოლიმპიადა გახდეს გარდატეხის მომენტი ჩვენს ურთიერთობებში.

— ხელისუფლებაში თქვენი მოსვლის პირველი დღეებიდანავე ქვეყანა მოიცვა საპროტესტო აქციებმა. საქართველოს მოსახლეობა დიდი იმედით ელოდება თქვენგან ყველა მისი საფინანსო პრობლემის გადაწყვეტას. თქვენ მზად იყავით ხალხის გაზრდილი მოლოდინისთვის არა იმდენად როგორც პრემიერისგან, არამედ უფრო, როგორც მილიარდერისა და მეცენატი ივანიშვილისაგან?

— დიახ, მზად ვიყავი. მე ვიცი ქართული ხასიათი, ვიცი, რომ ჩვენ ქართველები მეოცნებე ხალხი ვართ, ყველაფერი მაშინვე გვინდა. როგორც ჩვეულებრივად, მოსახლეობა დაბალი პოლიტიკური კულტურით, ელოდება სწრაფ შედეგებს ნებისმიერი პარტიისგან და არც ჩვენ ვართ გამონაკლისი.

DW-WORLD.DE
DEUTSCHE WELLE

დედამიწის ზურგზე

„ძმები მუსლიმანები“ სამხედროების წინააღმდეგ: ეგვიპტეში 18 კაცის დაღუპვის შემდეგ ემზადებიან გადატრიალებისთვის და იმუქრებიან „სისხლის დაღვრით“

პრეზიდენტ მურსის მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკების პერიოდში კაიროს ცენტრში ღამით დაახლოებით 200 კაცი დაზარალდა. არმიის ქვედანაყოფმა გამოთქვა მზადყოფნა, გამოიყენოს ძალა, რათა დაიცვას ეგვიპტელი ხალხი „ტერორისტებისა და უგუნურებისგან“. მოქმედმა პრეზიდენტმა და „ძმებმა მუსლიმანებმა“ ასევე გამოაცხადეს განზრახვა, არ დაიშურონ სიცოცხლე ბრძოლაში თავიანთი „ლეგიტიმური“ ხელისუფლებისთვის.

* * *

ინგლისური იუმორი: პუტინს სურდა, შემოეღო ნახევრად შიშველი დრესკოდი დიდი რვიანის სამეტზე, გაკილ-

ვით აღნიშნა კემერონმა.

ბრიტანეთის პრემიერმა სახუმარო განცხადება გააკეთა გალა-ვახშმის დროს ლონდონში ბიზნესპრემიის გადაცემასთან დაკავშირებით, როდესაც კომენტარს უკეთებდა თავის გარეგნობას „დიდი რვიანის“ ლიდერების შეხვედრაზე, სადაც ფოტორეპორტიორებმა იგი უპალსტუხოდ დააფიქსირეს. და მან უამბო ბიზნესმენებს, თუ რა ხდებოდა „კულისებს მიღმა“.

* * *

რუსეთ-ამერიკის ჩაპარდნა: მოსკოვი და ვაშინგტონი მკითხაობენ, თუ უკეთ როგორ გამოაცხადონ კონფერენციის ჩაშლა სირიასთან დაკავში-

რებით

ჯონ კერი, როდესაც აცხადებდა კონფერენციის მორიგი გადატანის შესახებ, განმარტავდა, რომ ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ პოლიტიკოსების მთელი ზაფხული გაწერილი აქვთ ყოველდღიურად. „ჟენევა-2“ შეიძლება გაიმართოს სადღაც აგვისტოს შემდეგ, აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა, მაგრამ წყაროები ამტკიცებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია შესანიშნავად აცნობიერებენ ერთობლივი ინიციატივის განხილვის უპერსპექტივობას და შეურიგდნენ მის კრახს.

* * *

ობამამ ერთი წლით გადადო ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის ძირითადი მოთხოვნების შემოღება

საკითხი შეეხება სამუშაოთა მიმცემების ვალდებულებას, რომლებსაც შტატში 50 მეტზე მუშაკი ჰყავთ, უზრუნველყონ თავიანთი პერსონალი სამედიცინო დაზღვევით აუცილებლად. ანალიტიკოსების აზრით, ეს ნაბიჯი გვაიძულებს ვიფიქროთ იმის შესახებ, განხორციელდება თუ არა მთელი რეფორმა ვადაში, ესე იგი 2014 წლის 1 იანვრისთვის.



◎ ომი თბილისისთვის

ბრიტანული გამოცემა საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს

(მეექვსე გვერდიდან) მას ადგილობრივი იურისტებიც ეთანხმებიან. **„საქართველოში არის სიტყვის თავისუფლება, გამჭვირვალობა და მთავრობის ანგარიშვალდებულება — ბევრ რამეს ზემოთ ჩამოთვლილიდან რეგიონში ვერ იპოვით“,** — აცხადებს ალექსანდრე ბოლქვაძე, სამი უდიდესი ქართული ფირმიდან ერთ-ერთის, BLC-ის პარტნიორი. დანარჩენი ორი დიდი მოთამაშეა მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური და BGI.

ერთი შეხედვით, ტურიზმთან და ღვინის ექსპორტის სექტორთან შედარებით ინვესტირების შესაძლებლობები მცირეა, მაგრამ, ყველაფერი უფრო მარტივია და შესაძლებლობებიც მრავალია. ერთ-ერთი მათგანია ჰიდროენერგია, რადგან სახელმწიფოს მიზანია გახდეს ენერგიის ექსპორტიორი თურქეთში, სომხეთში, ირანსა და რუსეთში.

აგრობიზნესიც მზარდი სექტორია, რადგან მეწარმეები არ აპირებენ შემოიფარგლონ მხოლოდ ღვინით და გამიზნული აქვთ განავრცონ სხვა შესაძლებლობები, რასაც მხარს უჭერს მთავრობა სესხებით, რომელთა მიზანი ნატურალური სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

ალბათ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყანა განიხილება, როგორც იდეალური რეგიონალური სანტრანსპორტო და ლოჯისტიკური კვანძი. DLA ფოთის საზღვაო პორტის ტერმინალების მფლობელებზე მუშაობს. ფოთი წარმოადგენს პორტს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და, როგორც სატრანზიტო, დერეფანი მნიშვნელოვნად ვითარდება.

ანგლო-ამერიკული იურიდიული ფირმა, აგრეთვე, მუშაობს Toyota-ზე, რომელმაც ცენტრალური აზიისა და კავკასიისთვის საქართველო სასაწყობო და ლოჯისტიკურ ცენტრად აქცია.

რადგან სამართლის სფეროში არის პოტენციური და სამართლებლივი ბაზარი, მაღალკონკურენტულია — DLA და Dechert-ს შორის მომწიფებული ბრძოლა.

ფილადელფიაში დაფუძნებული Dechert-ის ისტორიაც დრამატულია. გუნდმა მუშაობა დაიწყო, როგორც Dewey & LeBoeuf-ის თბილისის ავანპოსტმა. მაგრამ, როცა შარშან ნიუ-იორკის ფირმა დაიშალა, ქართული ჯგუფი Dechert-ს შეუერთდა.

მიუხედავად იმისა, რომ DLA-მ 2008 წელს საქართველოში მყოფი იურისტების თითქმის ნახევარი გამოიწვია, კომპანიას საქართველოში კვლავ ჰყავს 12 იურისტი. Dechert აცხადებს, რომ საქართველოში მყოფი 3 ძლიერი იურისტიდან ორი ლონდონსა და თბილისს შორის მოძრაობს. DLA-ს ხელმძღვანელი ტენ ჯონასი, რომელმაც როგორც ადგილობრივი ქართული იურიდიული ფირმები აცხადებენ, სრულიად მარტომ შეძლო ადგილობრივი პროფესიის მოდერნიზება, შეშფოთებულია.

ის აღიარებს, რომ წინა რეჟიმის დროს „Dewey-ის ოფისი საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ფირმებთან მუშაობით შემოიფარგლა“, მაგრამ, მისივე თქმით, საქმის დიდი ნაწილი ლონდონიდან კეთდებოდა.

საქართველოში შემოდის Dentons-ის მოსკოვის ოფისი, რომელმაც გაერთიანების შესახებ გარიგება მგალობლიშვილთან, ყიფიანთან და ძიძიგურთან გააფორმა. ეს ურთიერთობა გასული მარტის Salans-თან შეერთებით დაიწყო.

„DLA-თან კონკურენციის გაწევისთვის მიგვაჩნია, რომ საჭიროა, გვქონდეს ფორმალური კავშირი და ვიყოთ აქტიურები ბაზარზე“, — აცხადებს Dentons-ის მოსკოვის პარტნიორი გლენ კოლეენი.

საქართველოში უდავოდ არსებობს კონკურენცია, მაგრამ ისმის შეკითხვა — ღირს კი ბრძოლა?

Thelawyer

◎ ტურნირი

ამბავი ქართველ მოსწავლეთა თურქეთს „ლაშქრობისა“

ამბას წინათ პატარა ქალაქ ესკიშეჰირში ჩატარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში პირველი საერთაშორისო ასპარეზობა 12-დან 16 წლამდე მოსწავლეთათვის. შეჯიბრებებზე შემოთავაზებული იყო ამოცანები მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ეკოლოგიის საკითხებზე. ტურნირის გამართვის ადგილს რაც შეეხება, პატარა უთხარი შენ და, ეს ქალაქი თურმე თურქეთის ერთ-ერთ სამეცნიერო ცენტრად ითვლება და ორ უნივერსიტეტს პატრონობს, რომელთაგან ერთ-ერთმა დაუთმო შენობა 12 ქვეყნის წარმომადგენელ ყმაწვილებს და ჩინებულადაც უმასპინძლა მთელი ერთი კვირის განმავლობაში.

ამ თორმეტმა ქვეყანამ 16 გუნდი გამოგზავნა: თურქეთმა და რუსეთმა — სამ-სამი, დანარჩენებმა — უკრაინამ, ბელორუსიამ, ბულგარეთმა, საქართველომ, მოლდავეთმა და სხვებმა — თითო-თითო. ჩვენმა ნაკრებმა ისე წარმატებით იასპარეზა, რომ მხოლოდ ბელორუსიის გუნდი გაუშვა წინ და მეორე საპატიო ადგილი დაიკავა. მესამე უკრაინას ხვდა, მეოთხე — მოლდავეთს. ფინალში სწორედ ეს 4 გუნდი გავიდა და აქვე სათქმელად, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, რუსეთის ტრადიციულად ძლიერი ნაკრებიდან იქ ვერც ერთი ვერ მოხვდა, ისევე როგორც — მასპინძელთაგან. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ შეჯიბრება წმინდა გუნდური ხასიათისა იყო, წესდება არ ითვალისწინებდა პერსონალურ ჩათვლებს.

მარცხნიდან მარჯვნივ: ანდრო გვიმრაძე, დავით გრიგალაშვილი, ანა კაკაბაძე, გუგა მიქაბერიძე (მწვრთნელი), ნუგზარ ნაბახტიანი, ნიკა საბაშვილი (მწვრთნელი), გიორგი წერეთელი (გუნდის კაპიტანი), ლაშა კაპანაძე

დროა, ყოჩაღი მეორეადგილოსნები და იმათი მასწავლებლები გავაცნოთ მკითხველს. ექვსმოსწავლიანი გუნდი: გიორგი წერეთელი — თბილისის ვლ. კომაროვის სახელობის 199-ე ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მეათეკლასელი, კაპიტანი; ნუგზარ ნაბახტიანი — იმავე სკოლის მეცხრეკლასელი; ლაშა კაპანაძე, ანდრო გვიმრაძე — თბილისის ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მეათეკლასელები; ანა კაკაბაძე, დავით გრიგალაშვილი — ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის 41-ე ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მეათეკლასელები.

ჯგუფის ჩამოყალიბებას, შეკრების გავლასა და ტურნირზე გამგზავრებას შესანიშნავად გაართვეს თავი ფიზიკაში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების მწვრთნელმა, ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ფიზიკის დოქტორმა ვლადიმერ პავერმანმა და ვლ. კომაროვის სახელობის სკოლის დირექტორმა ივანე კვიტაშვილმა. გუნდს თურქეთში მწვრთნელებად ახლდნენ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მათემატიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი გუგა მიქაბერიძე (მათემატიკასა და ფიზიკაში) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ნიკოლოზ საბაშვილი (ბიოლოგიასა და ქიმიაში).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 10 ივნისს, აკადემიური საბჭოს სხდომაზე, საზეიმოდ აღნიშნა ქართველ მოსწავლეთა და მათ ხელმძღვანელთა ეს თვალსაჩინო წარმატება. ყოველ მათგანს აკადემიის მაშინდელმა პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ პირადად გადასცა სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი — „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემის ერთიანი ტომი, სადაც ჩაკრული იყო მთავარი რედაქტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მილოცვა. სიგელებსა და წიგნებს ბატონი თამაზის ხელმოწერა ამშვენებდა.

...წერილს „ლაშქრობის ამბავი“ დავარქვით, ამბავი კი ასე დაიწყო: ცნობილ ქართველ ფიზიკოსს, ახლახან აკადემიკოსად არჩეულ გია ჯაფარიძეს, რომელიც „შეთავსებით“ ხსენებული თურქული ქალაქის, ესკიშეჰირის უნივერსიტეტის პროფესორიც გახლავთ, თურქი კოლეგა შეეხმიანა. ეს კოლეგა, როგორც იმ ნორჩ ბუნებისმეტყველთა პირველი საერთაშორისო ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონ გიას და მისი ენა-პირით ჩვენს მეცნიერებათა აკადემიას ატყობინებდა ასპარეზობაში საქართველოს მიწვევას და მონაწილეობის ორგანიზებაში დახმარებას სთხოვდა. აქედან „დატრიალდა კარუსელი“; დაკავშირება ვლადიმერ პავერმანსა და ივანე კვიტაშვილთან, მათი დიდი მონდომება და აქტიურობა, სულ მცირე დროში ნაკრების ჩამოყალიბება და მომზადება და საუცხოო შედეგიც თვალწინაა: მეორე ადგილი ათი ქვეყნის, მათ რიცხვში უკრაინისა და რუსეთის გადასწრებით...

საშუალება მომეცა ორ „მოლაშქრესთან“ შეხვედრისა და მათ მონათხრობს გთავაზობთ.

ვლადიმერ პავერმანი:

— საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა ცალკე გუნდად საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა 1996 წლიდან დაიწყო ფიზიკის ოლიმპიადებზე. აქედან მოყოლებული, ჩვენს ჭაბუკებსა და გოგონებს სამივე სინჯის მედლები აქვთ მიღებული — ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო და კიდევ საპატიო სიგელებიც. იმავე წლიდან ვარ ჩართული მათ მომზადებაში, პირველი ორი წელი გავყევი ხელმძღვანელად, შემდეგ ხუთწლიანი პაუზა ჩამოდგა და 2003-დან უკვე უწყვეტად ვახლავარ ბავშვებს დელეგაციის სათავეში.

ფიზიკოსთა ოლიმპიადების გარდა, სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო შეჯიბრებებიც ეწყობა ასაკობრივი დაყოფით — 16 წლამდე და ზემოთ. ე. წ. ნორჩ ბუნებისმეტყველთა ტურნირი წლეულს პირველად გაიმართა თურქების ინიციატივით.

მიწვევასთან ერთად წინასწარ შემოვიდა 12 ამოცანა, რომლებიც უნდა ამოხსნილიყო წასვლამდე და ამას ახლდა პრაქტიკის მომენტებიც — მათემატიკის გამოკლებით, დანარჩენ საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ექსპერიმენტები უნდა ჩატარებულიყო... ცაიტნოტური სიტუაციის მიუხედავად, ჩვენმა გუნდმა, ინტენსიური გარჯის შედეგად, დავალებას მარჯვედ გაართვა თავი და ასევე წარმატებულად დაიცვა მიღებული შედეგები უკვე თურქეთში ჩასულმა, ტურნირზე, მეტოქე გუნდებთან დისკუსიებში. თქვენ იცით, რომ საქართველოს ნაკრები გავიდა ოთხთა დასკვნით პაექრობაში და საბოლოოდ მეორე ადგილის მფლობელი გახდა:

გუგა მიქაბერიძე:

— საწვრთნელი ათდღიანი შეკრება თბილისში, კომაროვის სკოლაში გავიარეთ დირექტორის, ბატონი ივანეს გულისხმიერებითა და განუწყვეტელი მზრუნველობით გარემოსილებმა... ამგვარი შერეული სახის შეჯიბრება პირველდ მოეწყო და ამ მიზეზით იყო რაღაც ხარვეზები, თუმცა, თურქმა მასპინძლებმა ცდა არ დააკლეს, რომ ყველაფერი კარგად გამოსულიყო...

ტურნირზე დასმულია პრობლემები, რომლებიც უნდა გამოიკვლიო. კონკრეტული პასუხები კი არაა მისაღები, არამედ ანალიზია ჩასატარებელი, ექსპერიმენტებია დასაყენებელი... მოკლედ — ექსპერიმენტი და თეორია, მათი შედარება — რამდენად გაამართლა ექსპერიმენტმა თეორიული მოდელი, სწორი იყო თუ არა ის მოდელი...

სხვა შთაბეჭდილებები? შემთხვევით შევხვდით ერთ ქართველ სტუდენტს ბიზნესის ფაკულტეტიდან, ირაკლი ერქვა. ქართველები ხართო? — გაეხარდა, ჩაგვეხუტა; ქართული სიმღერები ვიმღერეთ, ჩვენი გამარჯვება ერთად აღვნიშნეთ. აღდგომამ იქ მოგვიწია და ერთად შევხვდით, თუმცა, წითელი კვერცხები არ გვქონდა...

ქართველების გუნდი იყო ყველაზე ახალგაზრდული, ყველაზე მხიარული. ავტობუსით რომ ვმგზავრობდით, ისეთ სიმღერებს ვმღეროდით, რომ უცხოელებსაც ავიყოლიებდით ხოლმე.

...დამდგარ ივლისში ქართველ ყმაწვილებს თავის გამოჩენის კიდევ ერთი შესაძლებლობა ეძლევათ: ტაივანზე, დედაქალაქ ტაიპეიში, ახალგაზრდა ფიზიკოსთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი შედგება. საქართველოს მასშტაბით უკვე მოეწყო იმისი პროგრამის მიხედვით კონკურსი და ხუთწევრიანი ნაკრებიც შეირჩა, რომელშიც, სხვათა შორის, „თურქული გუნდიდან“ ნაცნობი გიორგი წერეთელი მოხვდა. მთავარ მწვრთნელად ნაკრებს ილია ვეკუას სახელობის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თემურ გაჩეჩილაძე გაუძღვება, რომელსაც მწვრთნელის როლში გუგა მიქაბერიძე დაეხმარება, ასევე ჩვენი „ძველი“ ნაცნობი...

დასანანია, რომ დაფინანსება, მატერიალური თანადგომა, რესურსები ქართველ „საერთაშორისოებს“ ერთობ მწირი აქვთ, თურმე მარტო მგზავრობისა და სამონაწილეო შესატანის თანხებს უხდიან სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით; და მაინც, შარშანდელმა „ფიზიკოსებმა“ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, წლევანდელებიც ენთუზიაზმისა და მონდომების ხარჯზე ეცდებიან, რომ იმ სხვა ქვეყნებს არ ჩამორჩნენ...

თამაზ ეგანოიძე

◎ სენსაცია

ოსირისის ქანდაკება შემოტრიალდა

ოსირისი — „დასავლეთის ქვეყნად“ წოდებული საიქიოს მმართველი ღვთაება გახლდათ ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში. გარდაცვალების და მიწისქვეშეთის ღმერთი. გარდაცვლილთა მოსამართლე. ფიქრობდნენ, რომ ოსირისმა შექმნა ეგვიპტის ცივილიზაცია. ბევრ სურათებში მას ადევს მწვანე ფერი, რაც მკვდრეთით აღდგომაზე მიუთითებს.

ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით, ოსირისი მაღალ ტახტზე იჯდა დასავლეთის კარიბჭესთან. სიკვდილის ღმერთს კი მასთან გარდაცვლილთა სულები მიჰყავდა. ამის შემდეგ გარდაცვლილი სასწორზე ჰყავდათ და სასწორი ერთ თეფშზე გულს, ხოლო მეორეზე ქალღმერთ მაატისას დებდნენ. თუკი გარდაცვლილი ცრუობდა, მას ურჩხულის კლანჭებში აგდებდნენ, ხოლო თუ არ ცრუობდა, მაშინ მას დასავლეთის, ანუ ოსირისის სამფლობელოში აგზავნიდნენ.

და აი, ბრიტანული „Daily Mail“-ი სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს — მანჩესტერში, მუზეუმის თანამშრომლებმა შენიშნეს, რომ ძველეგვიპტური „ღმერთის“ ოსირისის ქანდაკება, დღის განმავლობაში 180 გრადუსით შემოტრიალდა თავისი ღერძის ირგვლივ. ღმერთ ოსირისის ქანდაკებამ, რომელიც ეგვიპტეშია შექმნილი დაახლოებით 1800 წელს ჩვენს ერამდე, ჩიხში შეიყვანა მანჩესტერის მუზეუმის თანამშრომლები — შუშის ვიტრინაში ექსპონატის მოძრაობა საკუთარი ღერძის გარშემო ჩაიწერეს სადამკვირვებლო კამერებმა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ქანდაკებას არავინ არ ეხება.

სპეციალისტების მტკიცებით, ქანდაკებაზე გარე ზემოქმედება შეუძლებელია, რადგან იგი შუშის საფარველქვეშაა მოთავსებული. მუზეუმის დარბაზში მოთავსებული კამერების ჩანაწერის სწრაფი გადახვევისას ჩანს, რომ ქანდაკება დღის განმავლობაში მართლაც მოძრაობს საკუთარი ღერძის ირგვლივ და დარბაზისაკენ ზურგით ბრუნდება.

სპეციალისტებს ისღა დარჩენიათ, რომ ეს პროცესი მიაწერონ „ფარაონების წყევლას“, რომლის თანახმადაც საშინელი წყევლა ეწევა ყველას, ვინც დაარღვევს მათ მყუდროებას სამაროვანში, ან ამ პროცესთან იქნება რაიმეთი დაკავშირებული.

ოსირისის ქანდაკება 80 წლის წინათ, ეგვიპტეში, ნაბ-სერუს რაიონში მდებარე პირამიდის გათხრებისას აღმოაჩინეს. იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეცხრამეტე საუკუნითაა დათარიღებული. გაზეთ „Manchester Evening News“-ის ცნობით, 25-სანტიმეტრიანი ფიგურა აღმოჩენილი იყო გათხრების დროს ეგვიპტის ფარაონის აკლდამაში (ფარაონების დამარხვისას მათ ჩაყოლებდნენ ხოლმე ღმერთების, მსახურთა ან თავად გარდაცვლილთა პატარა ქანდაკებებს). 1933 წელს ექსპონატი, რომელიც გამოსახავს მთელი სიმაღლით იმიერსამყაროს ღმერთ ოსირისს, მოხვდა მანჩესტერის მუზეუმში, — უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება News.ge.

ბრიტანელი ფიზიკოსი ბრაიან კოკსი ფიქრობს, რომ უნებლიე მოძრაობა გამოწვეულია ქანდაკების ქვის კვარცხლბეკის „დიფერენციალური ხახუნით“ ვიტრინის შუშის თაროზე. ხახუნს კი იწვევს უმნიშვნელო ვიბრაცია, რომლის წყაროსაც მუზეუმის დამთვალიერებლების ნაბიჯები წარმოადგენს.

ისინი კი, ვინც „ფარაონების წყევლის“ ვერსიას ანიჭებენ უპირატესობას, იხსენებენ 1922 წელს, როდესაც ტუტანჰამონის საფლავის გახსნის შემდეგ სულ შვიდ წელიწადში უდროოდ აღესრულა 22 ადამიანი — 13 საფლავზე მომუშავე და 9 — მათი ოჯახის წევრი.

ნატა ნიბლაძე

◎ ჭიდაობა

ერთი „ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაო“



სკოპიეში (მაკედონია) დაიწყო ახალგაზრდა ფალავანთა ევროპის პირველობა. ასპარეზობის პირველ დღეს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოთხი ქართველი ჩაება. ისინი ნახევარფინალში კი გავიდნენ, თუმცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა ვერავინ შეძლო: ირაკლი შავაძემ (50) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო ლაშა გობაძე (74) და კუკური კირცხალია (96) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

შავაძე ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონია. მსგავს წარმატებამდე მას ამჯერად ერთი ნაბიჯის გადადგმა დააკლდა. თავიდან მან აზერბაიჯანელი რამიზ მამადოვი და თურქი იასინ კარადასლი დაამარცხა, თუმცა ფინალი უკრაინელ ევგენი უდინსკისთან დათმო და მე-2 ადგილს დასჯერდა.

გობაძე ჭაბუკებში მსოფლიოს მესამე პრიზიორი და ევროპული ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელია. სკოპიეში მან სლოვაკ კრისტიან სიმონსა და ბელარუს ალიაქსანდრ ჰენუვეინას აჯობა, ნახევარფინალი რუსთა მომავალ ჩემპიონ ადლან აკიევთან წააგო, ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში კი აზერბაიჯანელი ჰაჯიმურატ ბაგმანოვი დაჩაგრა. მსგავსი გზა განვლო კირცხალიამაც. ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ფინალისტი ამჯერად ნახევარფინალში უნგრელ ზლოტ ტოროკთან დამარცხდა, არადა, მანამდე რუმინელი კონსტანტინ ჰუტულეა და ბერძენი დიმიტრიოს ცეკერიდისი ჩამოიშორა გზიდან. დამამშვიდებელში ჩვენებურმა ავსტრიელ დანიელ გასტლის 5-ქულიანი გდებით აჯობა და, როგორც აღვნიშნეთ, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

მედლები საქეზოებლოდან

ძართველ მოჭადრაკეთა წარმატებით დასრულდა თურქეთში გამართული საერთაშორისო ტურნირი — 1st International Zesme Open Chess Tournament. ვაჟთა A კატეგორიის შეჯიბრში 9-დან 7.5 ქულით შოთა აზალაძემ (2481) გაიმარჯვა, ზურაბ ჯავახაძემ (2450) კი ნახევარი ქულით ნაკლები დააგროვა და მეორე ადგილზე გავიდა.

დანარჩენ ქართველ მონაწილეთა ტექნიკური შედეგები: 8. დავით ბენიძე (2495) — 5.5 ქულა,

14. ალექსანდრე ყაშაშვილი (2376) — 5 ქულა.

16. აკაკი შალამბერიძე (2386) — 5 ქულა.

18. ბაჩანა მორჩიაშვილი (2393) — 4,5 ქულა.

22. გიორგი ბაღათუროვი (2444) — 4 ქულა.

მოზარდ მოჭადრაკეთა B კატეგორიის ტურნირში 9-დან 7 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა ანტონ ნადირაძე.

ქალ მონაწილეთა C კატეგორიაში 9-დან 8.5 ქულით პირველობა გაინაწილეს სოფო ტერელაძემ (2167) და დიანა ბაკუმ (მოლდოვა, 2249), თუმცა, უკეთესი მაჩვენებლებით ქართველმა მოჭადრაკემ იმარჯვა. მესამე ადგილზე 6.5 ქულით მარიამ თევზაძე (1883) გავიდა.

ბეჭან დოლიძე

◎ ფეხბურთი

„ჩიხურა“ დღეს იწყებს

საჩხერის „ჩიხურამ“ უეფაში განაცხადი შეიტანა, რომელიც ევროპის ლიგის I საკვალიფიკაციო ეტაპისთვისაა განკუთვნილი. ლიხტენშტეინის „ვადუცის“ ბარიერის გადალახვის შემთხვევაში II ეტაპზე „ჩიხურას“ განაცხადის შეცვლის უფლება ექნება.

მეკარეები: 1. ზურაბ მწყერაშვილი, 16. გიორგი სომხიშვილი, 30. რევაზ თევდორაძე;

მცველები: 5. ლაშა ჭელიძე, 8. გიორგი ქიმაძე, 21. გოგიტა გოგოტიშვილი, 49. დავით ოდიკაძე, 37. შოთა კაშია, 88. გიორგი რეხვიაშვილი;

ნახევარმცველები: 7. ჯამბულ ჯილაური, 10. ნიკა კვასხვაძე, 14. გუგუა იაკობაშვილი, 15. დავით კაკულია, 17. ალექსანდრე ივანიშვილი, 19. ვაჟა ლომაშვილი, 24. ლაშა ჩიკვაიძე, 26. გიორგი დათუნაიშვილი, 27. გიგა ბეჭვაია, 72. ბადრი დემეტრაშვილი;

თავდამსხმელები: 11. რატი წინამძღვრიშვილი, 51. ბესიკ დეკანოიძე, 71. თემურ ნადირაძე, 99. თორნიკე მუმლაძე.

შეგახსენებთ, რომ „ჩიხურა — „ვადუცი“ დღეს „მიხეილ მესხზე“ 18 საათზე დაიწყება, საპასუხო კი 11 ივლისს ვადუცშია დანიშნული.

გიორგი შოთაძე

◎ მსოფლიოს უნივერსიადა

ყაზანი სტუდენტებს მასპინძლობს

ექვსს ივლისს ყაზანში საზეიმოდ გაიხსნება სტუდენტთა 27-ე მსოფლიოს უნივერსიადა, რომელიც 17 ივლისამდე გასტანს. საქართველო იქ სპორტის 11 სახეობაში 75 სპორტსმენით იასპარეზებს. ჩვენები მედლებისთვის ძიუდოში, თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში, სამბოში, წყალბურთში, ქამრიან ჭიდაობაში, ფარიკაობაში, კრივში, ჭადრაკში, შვიდკაცა რაგბისა და სროლაში იბრძოლებენ.

ძიუდოისტთა ნაკრები გიორგი ბაინდუროვის ხელმძღვანელობით თათრეთის დედაქალაქში 6 სპორტსმენით გაემგზავრა. ესენი არიან: პაატა მერებაშვილი (60), გიორგი თოთლაძე (66), ფრიდონ გიგანი (73), შალვა ნინიძე (81), დავით კარბელაშვილი (90) და ლევან მატიაშვილი (+100).

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაშიც კაცნაკლული გუნდი (მწვრთნელი ხვიჩა ქორიძე) გვყავს: თორნიკე თურქიშვილი (60), საჩინო დავითაია (66), ლაშა ლოლაშვილი (74), ბექა როყვა (84), მიხეილ ქაჯაია (96) და სერგო გოგისვანიძე (120).

„თავისუფალთა“ ნაკრების თავკაც კობა კაკალაძის განკარგულებაში ხუთი ფალავანია: ოთარ გოგავა (55), აკაკი მოწონელიძე (60), რევაზ ივანიშვილი (74), ზურაბ ერბოწონაშვილი (84) და გიორგი მეშვილდიშვილი (96).

უნივერსიადის პროგრამით საპრიზო ადგილებისთვის წყალბურთელთა 12 გუნდიც ითამაშებს. პირველ ჯგუფში საქართველოს ნაკრები (ნიკოლოზ შუბლაძე, ირაკლი ფავლენიშვილი, კუკური გიორგაძე, ლევან ჩიქვინიძე, ლუკა ტუკვაძე, დავით ბაქრაძე, ალექსანდრე ურუშაძე, მერაბ გელაშვილი, გივი სულაძე, გიორგი ქარჩილაძე, ლევან ყავლაშვილი, ლუკა ბულიაძე, გიორგი ქართველიშვილი, მწვრთნელი ლევან კალანდაძე) მეტოქეობას გაუწევს უნგრეთს (5 ივლისს), ავსტრალიას, რუსეთს, კანადასა და იაპონიას. ჯგუფიდან მეორე ეტაპზე სამი საუკეთესო გუნდი გადის.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

მარიონ ბარტოლი ფინალში გასვლას კიდევ ერთხელ შეეცდება

ძალთა ერთეულთა თანრიგში წლევანდელ უიმბლდონს ის ჩოგბურთელი მოიგებს, რომელსაც აქამდე ეს სადიდსლემო შეჯიბრება არასდროს მოუგია. ნახევარფინალში გასულთაგან მხოლოდ ფრანგ მარიონ ბარტოლის და, პოლონელ აგნეშკა რადვანსკას აქვთ ნათამაშები უიმბლდონის ფინალი, დანარჩენები კი პირველად გავიდნენ ნახევარფინალში.

უიმბლდონის 2011 წლის ტრიუმფატორი პეტრა კვიტოვა მეოთხედფინალში 27 წლის ბელგიელ კირსტენ ფლიპკენსთან 6:4, 3:6, 4:6 დამარცხდა. შეხვედრა 2 საათსა და 5 წუთს გაგრძელდა. ბელგიელმა 3 ბრეიკი, შვიდი ეისი შეასრულა და კარიერის განმავლობაში მესამედ დაამარცხა 23 წლის ჩეხი. კვიტოვას ფლიპკენსი ერთადერთხელ ჰყავს ძლეული.

უიმბლდონის 2007 წლის გათამაშების ფინალისტი მარიონ ბარტოლი წლევანდელი ტურნირის ნახევარფინალში 20 წლის ამერიკელი სლოან სტივენსის 6:4, 7:5 დამარცხების შემდეგ გავიდა. რეიტინგსიის 15-ე ნომერმა ფრანგმა მასზე 2 საფეხურით უკან მდგომი ამერიკელის ძლევას საათი და 41 წუთი მოანდომა და სტივენსთან პირადი შეხვედრების ანგარიში 2:0 გახადა.

რაც შეეხება მთავარი სენსაციის ავტორ საბინ ლისიცკის, სერენა უილიამსის ძლევის შემდეგ გერმანელმა ესტონელ კაია კანეპის სძლია — 6:3, 6:3, მისმა მორიგმა მეტოქემ კი ჩინელ ლი ნას — 7:6, 4:6, 6:2.

დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ:

საბინ ლისიცკი (გერმანია) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი),

კირსტენ ფლიპკენსი (ბელგია) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ანტონიო კონტემ ჩემპიონატის მოგება ქორწინებით აღნიშნა

როგორც იქნა, ტურინის „იუვენტუსის“ მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ საკუთარი თავისთვისაც მოიცალა — შვებულებაში გავიდა და დიდი ხნის შეყვარებულზე ელიზაბეტა მუსკარელოზე ჯვარი დაიწერა.

კონტემ იტალიის ჩემპიონატის მოგება ასე ორიგინალურად აღნიშნა. წყვილმა ჯვარი ტურინში, სანტ ანჯელო კუსტოდის ეკლესიაში დაიწერა. ქორწილს ანტონიოს ყოფილი თანაგუნდელები და კოლეგები ესწრებოდნენ. ქორწილის შემდეგ კი ელიზაბეტა და ანტონიო ერთ-ერთ ეგზოტიკურ კუნძულზე თაფლობის თვის გასატარებლად გაემგზავრნენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ წიწკვები ნაყვარება

ბერლუსკონი სასჯელს ციხეში მოიხდის?

მილანის სასამართლომ იტალიის ექსპრემიერს სილვიო ბერლუსკონის 7 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა — არასრულწლოვანი „სიყვარულის ქურუმების“ მომსახურებით სარგებლობისთვის. მას მართლა ჩასვამენ ციხეში?

ვ.მერაბიშვილი, ქ.კასპი

ეს განაჩენი პირველი როდია, 2012 წლის შემოდგომაზე საგადასახადო დანაშაულებებისთვის ბერლუსკონის უკვე მიუსაჯეს 4 წელი. შემდეგ ვადა შეკვეცეს 1 წლამდე, მაგრამ განაჩენი ძალაში არ შევიდა: ბრალდებულმა შეიტანა აპელაცია. „ეჭვი მეპარება, რომ ახალი განაჩენის შემდეგ ის აღმოჩნდეს ციხეში. ხოლო თუ აღმოჩნდება, ცოტა ხნით და სავსებით კომფორტულ პირობებში, — ასე მიაჩნიათ ზოგიერთებს. იტალიაში მეტად ჰუმანური მართლმსაჯულებაა, როდესაც საკითხი შეეხება ხანდაზმულ ადამიანებს, ბერლუსკონი კი 76 წლისაა. თუმცა, უკვალოდ განაჩენი არ ჩაივლის. 2011 წელს ექსპრემიერი უსახელოდ წავიდა მთავრობიდან, თუმცა, მალე არჩევნებზე საკმაოდ კარგი შედეგები მიიღო. მაგრამ ახლა მისი რეპუტაცია უარესზე უარესია.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები ივლისში

ივლისში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 1, 6- 10-15-17, 21, 22, 25-30 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, დაძაბულობის გაძლიერება სეისმოაქტიურობასა და სოციუმში.

6 — მთვარე-მარსის შეერთება. აქტიურობა, გულღიაობა, გაუწონასწორებლობა, კონფლიქტურობა. შეიძლება შეგვაწუხოს სასუნთქმა ორგანოებმა, რევმატულმა წელკავებმა, მხრებისა და ხელების მიდამოებში, თავის ტკივილი, უძილობა აღგზნებულობის გამო. საფრთხე შეიძლება მოდიოდეს ცეცხლისგან, მდუღარე წყლისგან, წვეტიანი და მჭრელი ინსტრუმენტებისგან, ჩამოვარდნილი საგნებისგან, მწვავე კუთხეებისგან. რეკომენდებულია ვერიდოთ სტრესებს, კონფლიქტურ სიტუაციებს, მძიმე საგნების გადატანას, ფიზიკურ და გონებრივ გადატვირთვას. სასურველია, უარი ვთქვათ აღმგზნებ სასმელებზე, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, სასარგებლოა გამწმენდი პროცედურები, სასუნთქი ვარჯიშები, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

7 — მთვარე-იუპიტერის შეერთება, მთვარის აპოგეა. გაზრდილია ემოციურობა, ამბიციურობა, აღგზნებადობა და წყენის გრძნობა. შესაძლებელია რძის ჯირკვლების, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, მიდრეკილება ზედმეტი ჭამისაკენ, არ არის გამორიცხული საკვების გადამუშავების პროცესის დარღვევა, ალერგიული რეაქციები საკვებზე ან საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებებზე, შეშუპება. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ცხიმიან და ცხარე საკვებზე, ვერიდოთ გაციებას, თავი ავარიდოთ აქტიურ წყლის პროცედურებს, ალკოჰოლი და წამლები მოქმედებენ მეტად ეფექტიანად.

8 — სრული მთვარე, მთვარე-მერკურის შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ორგანიზმი მაქსიმალურად დასუსტებულია, ყველა პროცესი შენელებულია. დაქვეითებულია იმუნიტეტი. შესაძლებელია უყურადღებობა, პრობლემები ურთიერთობებში, აზროვნების, მხედველობისა და მეტყველების დარღვევები. არ არის გამორიცხული ნევროზები, სპაზმები, მწვავე ტკივილები, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებანი, სასუნთქი ორგანოებისა და ხელების დაავადებანი. დაიცავით დიეტა, იყავით ფრთხილად ტრანსპორტში გადაადგილების დროს, ერიდეთ დაცემას. არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება, გეგმების აგება, მნიშვნელოვან დოკუმენტებზე ხელის მოწერა. ხელსაყრელი დროა საოჯახო შეხვედრებისთვის, საუბრების და დასვენებისთვის.



10 — მთვარე-ვენერის შეერთება. შეიძლება შეგვაწუხოს ყელსურის დაავადებებმა. შარდსადენი სისტემების მოშლილობამ, კუჭქვეშა ჯირკვლის სენმა. შესაძლებელია გულსისხლძარღვთა სისტემის, ხერხემლის, ზურგის, რადიკულიტის დაავადება-გამწვავება. არ არის გამორიცხული საკვებით მოწამვლა, თავის ტკივილი, უძილობა, უნდა ვერიდოთ გონებრივ და ფიზიკურ გადაღლილობას, გავუფრთხილდეთ გულსა და ხერხემალს გადატვირთვებისგან, უარი ვთქვათ ალკოჰოლსა და მოწევაზე, გამოვიყენოთ ხარისხიანი პროდუქტები. სასარგებლოა ვარჯიშები და მსუბუქი გასეირნებანი.

16 — მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, ორგანიზმის მაქსიმალური აქტივობა, შეიძლება შეინიშნებოდეს ნერვიულობა, გაღიზიანება, ეჭვიანობა, სურვილი ვუხელმძღვანელოთ ყველას. ამან შეიძლება მიგვიყვანოს დავებთან და კონფლიქტთან. შესაძლებელია, სასქესო ორგანოებისა და შარდსადენი სისტემის, ჰემოროის, ანთებითი საინფექციო დაავადებათა გამწვავება. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, ზომიერად გამოვიყენოთ ალკოჰოლი, ვერიდოთ ინფექციებს. ვაკონტროლოთ საკუთარი ემოციები.

17 — მთვარე-სატურნის შეერთება. შესაძლებელია დეპრესია, ემოციური ტონის დაქვეითება, მწუხარება და უკმაყოფილება. შენარჩუნებულია აღქმის ორგანოების, თირკმელებისა და შარდსადენი სისტემების ორგანოების სისუსტე. დიდია ძვლებისა და სახსრების ტკივილების გამწვავების ალბათობა, კანისა და ელენთის დაავადებათა გამწვავება. არ არის გამორიცხული დაავადებანი სიცივისა და გაცივებისაგან. ნუ ასწევთ სიმძიმეებს, გაუფრთხილდით ხერხემალს, ნუ გადატვირთავთ ფეხებს და მუხლებს. ერიდეთ ტრავმატიზმსა და გაციებას, არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება და დაგეგმვა.

21 — მთვარე-პლუტონის შეერთება. მთვარის პერიგეი, მთვარის დაძაბული ასპექტები. შესაძლებელია ფიზიკური სისუსტე. მარტოსულობის გრძნობის, ვალისა და პასუხისმგებლობის გამწვავება. საალბათოა რევმატიზმის გამწვავება, კბილის, ძვლებისა და სახსრების ტკივილები, კანის, შარდსადენ-სასქესო სფეროების დაავადებანი. არ არის სასურველი მძიმე და ინტენსიური ფიზიკური დატვირთვები, სიმძიმეების გადატანა. გაციება. დიდია ტრავმატიზმის ალბათობა.

22 — სრული მთვარე, მზე გადადის ლომის ნიშანში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია აღგზნება, შეშფოთება, შესაძლებლობათა გადაფასება. არ არის გამორიცხული ვარდნები წნევაში, სტენოკარდიუმის შეტევები, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, უძილობა. კარგად აითვისება საკვები და ალკოჰოლი — შეიძლება გავსუქდეთ და მალე დავთვრეთ. რეკომენდებულია გავუფრთხილდეთ გულს, შევზღუდოთ ალკოჰოლური სასმელების მიღება, დავიცვათ ზომიერება კვებაში, ფრთხილად ვიყოთ ცეცხლთან, აგრეთვე, ყურადღებიანი — საჭესთან. არ დავკარგოთ გონიერება, არ განვახორციელოთ ფულადი ოპერაციები.

25 — მთვარე-ნეპტუნის შეერთება. შესაძლებელია ბუნებრივი ცვლილებები. ნალექები. შეიძლება შეინიშნებოდეს უყურადღებობა, დაბნეულობა. მოსალოდნელია ღვიძლის, თვალების, ფეხის სისხლძარღვთა, ტერფის, სახსრების დაავადებათა გამწვავება, შესაძლებელია ფსიქოპათიური რეაქციები, არაადეკვატური ქცევა, გადაწყვეტილებათა მიღების უუნარობა, რეკომენდებულია არ გადავტვირთოთ თვალები და ფეხები. უარი ვთქვათ ალკოჰოლსა და ყავაზე. დავიცვათ დიეტა, ვერიდოთ ტრავმატიზმს, მოტყუებასა და ქურდობას, ნუ დავიწყებთ რაიმეს დაგეგმვას. დიდია შხამიანი სითხეებისა და გაზისაგან მოწამვლის საფრთხე.

29 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარის დაძაბული ასპექტები. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ორგანიზმში იზრდება პასიურობა და მოდუნება. შესაძლებელია ცხვირისა და სასუნთქი ორგანოების, კბილების, ფილტვების, ბრონქების, ნერვული სისტემის დაავადებანი. სასურველია, არ დავძაბოთ მეტყველების ორგანოები, ვერიდოთ გაციებას, ანგინებსა და კვებით მოწამვლებს, სასარგებლოა წყლის პროცედურები, მცირეოდენი შეზღუდვები კვებაში. ხელსაყრელი დროა წამოწყებულ საქმეთა დასრულებისათვის.

სანთელი

გივი შანიძე

საინჟინრო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს მშენებლობის დამსახურებული მუშაკი, შესანიშნავი, გულითადი ადამიანი **გივი შანიძე**. იგი დაიბადა ქ. თბილისში 1928 წელს.

1952 წლიდან თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშენებელ-ინჟინრის კვალიფიკაციით მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში: იყო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის“ დირექტორი, თბილისის კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე, მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგე, თბილისის საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე, საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ინვესტიციებისა და სამშენებლო კომპლექსის განვითარების სამმართველოს უფროსი. 1995 წლიდან მოღვაწეობდა „საქმონტაჟსპეცმშენში“, გარდაცვალებამდე იყო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მან თავისი პროფესიონალიზმითა და თანამშრომლებთან გულთბილი დამოკიდებულებით დაიმსახურა დიდი სიყვარული და პატივისცემა.

წავიდა ამქვეყნიდან, როგორც ვალმოხდილი მამულიშვილი. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

საქციო საზოგადოება „მონტაჟსპეცმშენის“ კოლექტივი



საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი გამომგონებელი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი, პროფესორი

ალექსანდრე ქურდაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თამაზ ებანოიძე მწუხარებას გამოთქვამს ბავშვობის მეგობრის

ალექსანდრე ქურდაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს გზათა სამეცნიერო კვლევითი და საწარმოოტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი

სიმონ ქარქუზაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 4, 5 VII, 17 სთ. დაკრძალვა 6 VII, 14 სთ. მის. ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. 20.

რეზო თევზაძე, დემურ მიქაძე, გაიოზ გალდავაძე, მერაბ მახარაძე, ივიკო საყვარელიძე, იმედა კახიანი, დათო დათოშვილი, როლანდ იოსელიანი, ბონდო ქობულია, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, ჯუმბერ გონაშვილი, თამაზ ცინცაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა მახარაძე

და სამძიმარს უცხადებენ გია მახარაძეს დედის გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

წყალდიდობა ანაკლიაში

ძლიერი წვიმების შედეგად, ანაკლიაში რამდენიმე ოჯახი დაზარალდა. დატბორილია დაახლოებით ათამდე სახლის პირველი სართული და განადგურებულია საკარმიდამო ნაკვეთები. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ისინი დახმარებას ხელისუფლებისაგან ელიან.

ადგილზე მობილიზებული იყო ხანძრო სამაშველო სამსახური და მიმდინარეობდა სახლებიდან წყლის ამოტუმბვა. ადგილზე იმყოფებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი ედიშერ თოლორაია.

ინტერპრესი

◎ ჩვენი კარაბადინი

ჩითის სიმარტივე, აბრეშუმის მდიდრულობა...

ლოგინის რომელი თეთრეულია უკეთესი

რითი იწყება ჯანსაღი ძილი? კარგი ლეიბი, მოხერხებული ბალიში — ეს თავისთავად. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია შევარჩიოთ ლოგინის თეთრეული. რომელი ვამჯობინოთ?

მარადიული კლასიკა

ძილისთვის ყველაზე კომფორტული ლოგინის თეთრეული — ესაა ნატურალური ქსოვილისგან. მაგრამ დღეს მისი არჩევანი დამოკიდებულია არა მხოლოდ ჯიბეზე: ყველაფერი უნდა აიწონოს — მოვლის შრომისტევადობა, მომსახურების ვადა, პრაქტიკულობა.

სელი

⊕ ასეთ თეთრეულზე ძილი ერთი სიამოვნებაა — იგი „სუნთქავს“: ზაფხულში სიგრილეს შეიგრძნობ, ცივ დღეებში იგი გათბობს. სელის ბოჭკო — შესანიშნავი ანტისეპტიკია, ალერგიკოსებსა და იმ ადამიანებს, ვისაც კანის დაავადებანი აწუხებს, ექიმები ურჩევენ იძინონ ამ მასალის ზეწრებზე. და კიდევ ერთი პლუსი — ეს თეთრეული გვემსახურება რამდენჯერმე უფრო დიდხანს, ვიდრე ზეწრები და ბალიშისპირები სხვა ნატურალური ქსოვილებისგან.

⊖ საწოლის თეთრეული სელისგან არ შეიძლება ვადუღოთ (იგი ძალიან დგება), მისი დაუთოება კი შეიძლება ნესტიან მდგომარეობაში. ეს არაა საუკეთესო არჩევანი მათთვის, ვისაც არ უყვარს ნესტიანი ქსოვილების დაუთოება: ზეწარზე ჩნდება უამრავი ნაკეცი, რაც დისკომფორტს ქმნის.

სატინი

⊕ კანისთვის მეტად სასიამოვნო ქსოვილია, იგი კარგად ისრუტავს და გამოსცემს სინესტეს. ასეთი ქსოვილი კანს არ ეკვრის, არ ცურავს ლოგინზე. უსათუო ღირსებანია — სამსახურის ხანგრძლივი ვადა,

„ასაკთან“ ერთად თეთრეული ხდება უფრო რბილი, დიდია მისი ფერების არჩევანი (ფერი კი, სხვათა შორის, ქმნის განწყობილებას საძინებელში).

⊖ სატინის თეთრეული უნდა გაიწუროს მეტად დელიკატურად და გასაშრობადაც უნდა გაიკიდოს აკურატულად — წინააღმდეგ შემთხვევაში ზეწრები და საბნის გამოსაკრავები შეიძლება დაიღრიცოს და დაკარგოს ფორმა.

ნარმა

⊕ ქსოვილი არაა ძვირი, პრაქტიკულია, არ მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლას — სწორედ ამიტომ ასეთი ვარიანტი განსაკუთრებით პოპულარულია.

⊖ ფერების დახვეწილობის მიუხედავად, ლოგინი ასეთი თეთრეულით გამოიყურება თავმდაბლურად, ზოგჯერ შინაურულად და დიდად არ უწყობს ხელს მოდუნების და განცხრომის განწყობილებას, რაც ასე მნიშვნელოვანია კომფორტულ დაძინებისთვის.

ჩითი

⊕ დაბალი ფასი, ეს ყველაზე იაფი ვარიანტია.

⊖ ძალიან ხანმოკლე მოხმარების ქსოვილია. სწრაფად იჭმუჭნება, იხევა. ასეთ თეთრეულზე ძილი მოუხერხებელია: ზეწარი საწოლზე იგრიხება.

უმაღლესი კლასის მიხედვით

მეფურად ფუფუნებიანი საწოლი ასოცირდება აბრეშუმებთან. ფუფუნება ფუფუნებად,მაგრამ ძილისთვის ცხელ ღამეში უკეთეს თეთრეულს ვერ მონახავ.

აბრეშუმი

⊕ კარგად ატარებს ჰაერს, კანზე ახდენს სასიამოვნო გამაგრილებელ ზემოქმედებას, საუცხოოდ ისრუტავს სინესტეს და ძალიან სწრაფად იორთქლავს, აქვს ბაქტერიციდული თვისებები.

⊖ ასეთი თეთრეული შეიძლება გავრეცხოთ მხოლოდ დელიკატური რეცხვის სტილში, რთულია მისი დაუთოება — წყლის პატარა წვეთებიც კი ლაქებს ტოვებენ. და, ბუნებრივია, ფასი „იკბინება“.

ბატისტი

⊕ მეტად მსუბუქი და ჰაეროვანი თეთრეულია, რომელზე ძილიც ძალიან, ძალიან სასიამოვნოა.

⊖ დიდხანს ვერ ძლებს და ძალიან ძვირია.

დროის სულისკვეთებით

ძილის ხარისხისადმი ყველაზე გამორჩეული და „გულაფანცქალებული ადამიანები სულ უფრო ხშირად ირჩევენ საწოლის თეთრეულს „ეკოლოგიური“ ქსოვილებიდან, რომლებიც დამზადებულია ბამბუკისა და ევკალიპტის ბოჭკოებისგან. სხვა ტენდენციაა — შეზავებული ქსოვილები: თავისებური „კოქტეილი“ ნატურალური და სინთეტიკური ბოჭკოებისგან.

ბამბუკის ბოჭკო

⊕ თეთრეული შესანიშნავად ისრუტავს და სწრაფად აორთქლებს ნესტს. აქვს ანტიბაქტერიული თვისებები. ასეთი ქსოვილები, ბამბეულისგან განსხვავებით, უფრო რბილია, გატკეცილი, რაც ძილის დროს დამატებით კომფორტს უზრუნველყოფს.

⊖ თეთრეული ბამბუკის ბოჭკოსგან საკმაოდ ძვირია.

პოლიკოტონი

⊕ არ გიყვართ დაუთოება? მაშინ ეს თეთრეული სათქვენოა. მარტივია მისი მოვლა, ხოლო გვემსახურება ტრადიციულზე უფრო დიდხანს.

⊖ პოლიკოტონი — ესაა ბამბისა და პოლიესტერომის ნაერთი. „სინთეტიკური“ დანამატების გამო თეთრეული კარგად არ ატარებს ჰაერს, ზაფხულში მასზე წოლის დროს ცხელა. ალერგიკოსებისთვის რეკომენდებული არ არის. უნდა მივაქციოთ ყურადღება შემადგენელი ნაწილების შეფარდებას: რაც მეტი ბამბაა მასში — მით უკეთესია.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანი ვართ ეკონომიკურად

გამალებული შეიარაღება კავკასიაში

სომხეთში, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მთავარ დასაყრდენად მოიაზრება, მოსკოვის მხრიდან აზერბაიჯანისთვის თითქმის ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების საბრძოლო ტექნიკის მოწოდების ცნობამ შეშფოთება და კრიტიკა გამოიწვია. ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავს შეიარაღებას, მათ შორის „ეს-3000“-ებს, რუსეთი სომხეთსაც უკვე დიდი ხანია აწვდის, თუმცა, აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საბაზროზე უფრო იაფ ფასად, ან როგორც ზოგიერთი მიმომხილველი თვლის, ზოგჯერ სულაც უფასოდაც კი... თუმცა, სომხეთისთვის იარაღის მიწოდება მალულად ხდება და არცერთი ქვეყნის ოფიციოზი ამის დეტალებს არ ამხელს.

„რეზონანსი“

სამეგრელოში ნაპოვნია სამალავი, სადაც ადამიანებს აწამებდნენ

2 ივლისს საინფორმაციო სააგენტო სმო.გ-ს კამერამ მორიგი საიდუმლო სამალავი აღმოაჩინა მიუვალ ადგილას, უღრან ტყეში, რომელიც ზუგდიდიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. ეს ადგილი ზუგდიდის ერთ-ერთ სოფელს განეკუთვნება. საიდუმლო სამალავი მიწის ქვეშ, რამდენიმე მეტრშია მოთხრილი. სააგენტოს ინფორმაციით, სამალავის სიგრძე დაახლოებით 500 მეტრია და შედგება ერთი დიდი დარბაზისგან და საპირფარეშოსგან. დიდი დარბაზი, რომელიც სავარაუდოდ იქ ჩაყვანილი ადამიანების საწამებლად გამოიყენებოდა, საგანგებოდ არის მოწყობილი. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, ეს ტერიტორია სოფლისგან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული. სამალავს 2010 წლიდან აკეთებდნენ, რომელსაც სამხედრო პოლიციის ყოფილი შეფი მეგის ქარდავა ხელმძღვანელობდა. ის ადგილობრივებს ტყისკენ მიმავალი ხშირად შეუმჩნევიათ. ადგილობრივების განცხადებით, მეგის ქარდავა საიდუმლო სამალავში ძალიან დიდ დროს ატარებდა და იმ ადამიანებს, რომელთა წამებას თავად ხელმძღვანელობდა, სწორედ იქ მალავდა. მათივე განმარტებით, მეგის ქარდავას ხელს უწყობდა ერთ-ერთი საკრებულოს წევრიც, რომელიც აღნიშნული ტერიტორიიდან ახლოს ცხოვრობს.

„ახალი თაობა“

„ღარიბაშვილი ციხეში უნდა იჯდეს“

— მიაჩნია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს ზაზა ხატიაშვილს, — რასაც სააკაშვილის რეჟიმი აკეთებდა, იმას აკეთებს ღარიბაშვილ-ნაცვლიშვილის დუეტი, რომელიც, ფაქტობრივად, მთავარი პროკურორია... ღარიბაშვილი უნდა იჯდეს ციხეში. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დააშავებს — ამას რომ ვამბობ, მეუბნებიან, ვაცადოთ, ახალი მოსულები არიანო. მაგრამ დანაშაულს რომ სჩადიან, არ უნდა მოვთხოვოთ კანონის დაცვა? თუ მათ ეპატიებათ? სააკაშვილს ვაცადეთ 9 წელი და ხომ ხედავთ, რა ხდება! 2012 წლის 3 დეკემბერს ძმები სოზაშვილები აწამა. ვიდეოფირი რომ ამოიღონ, ნახავენ როგორ აწამებენ ძმებს სამოქალაქოფორმიანი პოლიციელები. შემდეგ კი საქმეში პოლიციის დახეული ფორმა ჩადეს. ამ საქმის გამომძიებელიცა და პროკურორიც დასაჭერია დანაშაულის დაფარვისთვის. თუ ვანო უნდა იჯდეს ციხეში, რომელმაც დაფარა თავისი ცოლის დანაშაული, რატომ არ უნდა აგოს პასუხი ღარიბაშვილმა? რა მნიშვნელობა აქვს პატარა დანაშაულს დაფარავ თუ დიდს?!.

„ფველა სიახლე“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ინცინერალი ანეკდოტები

ძალი ბაზარში ათ მამალს და ერთ დედალს ყიდულობს.

— პირიქით უნდა მოქცეულიყავით, ათი დედალი უნდა გეყიდათ და ერთი მამალი, — ეუბნება გამყიდველი.

— სპეციალურად გავაკეთე ასე, ამ დედალს მაინც გაუმართლოს!..

* * *

— ამ ჩვენს უქნარა და ბრიყვს ისევ ამოუღია ფული ჩემი საფულიდან, — ეუბნება გაბრაზებული ქმარი ცოლს.

— რაღა პირდაპირ ბავშვს მიახტი? იქნებ მე ამოვიღე?

— გამორიცხულია: საფულეში კიდევ არის ფული.

* * *

— ძვირფასო, ჯიბეში ნახვრეტი გქონდა და ამოვკერე, — ეუბნება ცოლი ქმარს.

— კარგია, ჩემო საყვარელო. შენ საიდან გაიგე ნახვრეტის შესახებ?

* * *

ცოლი ქმარს სთხოვს, ავტოდრომზე მანქანის ტარება მასწავლეო. ქმარი დათანხმდება, ჩაუჯდება მანქანაში და ასწავლის ცოლს, რა როგორ გააკეთოს. ქმარი ცხადია, ნერვიულობს, რადგან ცოლი პირველად უზის საჭეს და, რამე თუ შეეშალა, მას ვითარების გამოსწორებისთვის არაფრის გაკეთება არ შეეძლება, ხელის მუხრუჭის ამოწევის გარდა.

— გვერდიდან როგორ ჩანს, დაძაბულად ვუზივარ საჭეს თუ ნორმალურად? — ეკითხება მორიგი წრის შემოვლის შემდეგ ცოლი ქმარს.

— დაძაბული მე ვარ, თორემ შენ მშვენივრად ზიხარ, — უპასუხებს ქმარი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24